პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
9 ოქტომბერი
1939 წ.
№ 232 (5632)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში

სანიმუშოდ მოვემზადოთ 1940 წლის სასოფლო - სამეურნეო გამოფენისათვის (მოწინავე)
სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა (1-ლი გვ.)
ლიტვის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლა (1-ლი გვ.)
გერმანიის ეკონომიური დელეგაციის ჩამოსვლა (1-ლი გვერდი)
დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში (მე-2 გვ.)
უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა პოლონეთის შლიახტის უღლის წინააღმდეგ და უკრაინის შეერთება რუსეთთან (მე-2 გვ.)
სომხური ხელოვნების დეკადა მოსკოვში (მე-2 გვ.)
გულმოდგინედ ვეზარდოთ პარტიის რიგები (მე-3 გვ.)
ვალერი ბრიუსოვი (მე-3 გვ.)
ბ. ვ. შჩუკინის გარდაცვალების გამო (მე-3 გვ.)
უცხოეთში:
გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა (1-ლი გვერდი)
ლიტვის გაზეთი სსრ კავშირის პოლიტიკის შესახებ (მე-4 გვ.)

სანიმუშოდ მოვემზადოთ 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენამ ცხადჰყო ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის გრანდიოზული წარმატებანი, მისი სიმდიდრე და სიუხვე, რაც მოპოვებულია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით. წელს გამოფენა სოფლის მეურნეობის ასეულათასობით მუშაკებმა დაათვალიერეს. მათ იქ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მდიდარი გამოცდილება და კიდევ უფრო გააფართოვეს თავიანთი მსოფლმხედველობის არე. გამოფენა გადაიქცა გამოცდილების დიად სკოლად.

1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა ამთავრებს თავის მუშაობას. მაგრამ ამით მუშაობა არ სწყდება. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა 1940 წელსაც განაგრძობს მუშაობას.

ორდენოსანი საქართველო მიმდინარე წლის გამოფენაზე ბრწყინვალე მაჩვენებლებით წარსდგა. საქართველოს პავილიონმა საუკეთესო პავილიონის სახელი დაიმსახურა.

ორდენოსანი საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ამოცანა ახლა ის არის, რომ სანიმუშოდ მოემზადონ 1940 წლის გამოფენისათვის, სოცშეჯიბრების შემდგომი გაშლისა და გამოცდილების ფართოდ დანერგვის გზით ამრავლონ გამოფენის მონაწილეთა რიცხვი და კიდევ უკეთესი მაჩვენებლებით შეხვდნენ 1940 წლის გამოფენას.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოფენისათვის მზადება საქართველოს უმრავლეს რაიონებში აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. საქმიწსახკომის 20 სექტემბრის ცნობებით, მხოლოდ ლანჩხუთის რაიონში იყო 390 განცხადება გამოფენაში მონაწილეობის შესახებ. საქართველოს დანარჩენ რაიონებს მიწსახკომში არ წარუდგენიათ ცნობები ამ საკითხის ირგვლივ.

რაიონულმა ორგანიზაციებმა ზოგან არადამაკმაყოფილებლად ჩაატარეს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშათა საერთო კრებებზე გამოფენიდან დაბრუნებულ მონაწილეთა და ექსკურსანტთა მოხსენებანი მიღებული გამოცდილების შესახებ. გამოფენისათვის მზადებაში ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები სუსტად ხელმძღვანელობენ ამ მნიშვნელოვან სამუშაოს.

გამოფენის კანდიდატთა გამოვლინების გაჭიანურება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნას. მით უმეტეს, რომ საქართველომ შეასრულა აბრეშუმის პარკის და ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების გეგმები, აგრეთვე თამბაქოს, თავთავიან მარცვლეულ, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურათა მოსავლის აღების გეგმები. ამჟამად მიმდინარეობს შაქრის ჭარხლის, ყურძნის, სიმინდის, სოიას, არახისის მოსავლის აღება. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა დროულად გამოვავლინოთ გამოფენის მომავალი მონაწილენი.

1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარდგენილი იქნებიან ის კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი, მტს-ები, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები, რომლებმაც სამი წლის—1937, 1938 და 1939 წლების—მუშაობის შედეგების მიხედვით სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებულ მაჩვენებლებს მიაღწიეს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ის ორგანიზატორები და მოწინავენი (ბრიგადირები, რგოლის ხელმძღვანელები, ტრაქტორისტები, მწველელები, სპეციალისტები), რომლებმაც ორი წლის 1938 და 1939 წლების — მუშაობის შედეგების მიხედვით მიაღწიეს სათანადო მაჩვენებლებს.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა გაშალონ მასობრივი ახსნა - განმარტებითი მუშაობა და გამოფენაში მონაწილეობის პირობები გააცნონ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებს, სოფლის მეურნეობის ორგანიზატორებს.

გამოფენისათვის საუკეთესოდ მომზადება — ეს ნიშნავს წარმატებით შევასრულოთ სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა გეგმები და ამავე დროს არ დავივიწყოთ გამოფენისათვის მზადების ორგანიზაციული მხარე.

საჭიროა უპირველეს ყოვლისა მოვაწყოთ განცხადებების მიღება გამოფენაში მონაწილეობის უფლებაზე, შევამოწმოთ განმცხადებლის მაჩვენებლები და იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მუშაობა აკმაყოფილებს გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებულ მაჩვენებლებს, დროულად და უშეცდომოდ შევადგინოთ თვითეულ კანდიდატზე დოკუმენტაცია (დახასიათება, აგროპასპორტი). ამავე დროს საჭიროა რაიაღმასკომებმა არ დაუშვან გამოფენის კანდიდატთა დოკუმენტების გაფორმების გაჭიანურება.

1940 წლის გამოფენაში მიმდინარე წელთან განსხვავებით დაშვებული იქნებიან მთლიანად რაიონები, რომლებმაც შეასრულეს ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე და სოფლის მეურნეობის ხაზით მიაღწიეს იმ მაჩვენებლებზე არანაკლებს, რაც მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ არის დაწესებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. საქართველოს რაიონების ღირსების საქმეა მოიპოვონ 1940 წელს გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება.

ამთავითვე საჭიროა შევუდგეთ 1939 წლის მოსავლიდან ექსპონატების გამოვლინებას და მოვაწყოთ მათი სანიმუშოდ მოვლა.

სასოფლო - სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებული მაჩვენებლების მიღწევა უზრუნველჰყოფს მესამე სტალინური ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებას.

„რაც უფრო მალე უზრუნველვყოფთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მთელი მასის მიერ სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მონაწილეთათვის დაწესებული მაჩვენებლების შესრულებას, მით უფრო მალე უზრუნველვყოფთ მესამე ხუთწლედის მთელი გეგმის შესრულებას სოფლის მეურნეობის დარგში. ამაში მდგომარეობს სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის, როგორც მესამე ხუთწლედის შესრულებისათვის წარმოებული სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის მნიშვნელობა (ვ. მოლოტოვი).

ყველა პარტიული ორგანიზაციის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ თვითეული კოლმეურნე — გამოფენის მნახველი გახადოს მოწინავე სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აგიტატორად, მოწინავეთა გამოცდილება ყველას კუთვნილებად აქციოს, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით უზრუნველყოს 1940 წლის გამოფენისათვის საუკეთესოდ მომზადება.

საქდესის ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტის რატიფიკაციის შესახებ

8 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რატიფიკაცია უყო საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტს, რომელიც დაიდო მოსკოვში ა.-წ. 5 ოქტომბერს.

ლიტვის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლა

ა. წ. 7 ოქტომბერს ჩამოვიდა ლიტვის მთავრობის დელეგაცია; დელეგაციაში შედიან: საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. ურბშისი, რომელიც ლიტვაში მოკლე ხნით გამგზავრების შემდეგ კვლავ ჩამოვიდა მოსკოვში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი კ. ბიზაუსკასი, ლიტვის არმიის სარდალი გენერალი ს. რაშტიკისი. დელეგაციას თან ახლავს ეკონომიური დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ი. ნორკაიტისი და მთელი რიგი ექსპერტები.

ცენტრალურ აეროპორტზე დელეგაციას შეხვდნენ: საგარეო საქმეთა სახკომის მოადგილე ამხ. ს. ა. ლოზოვსკი, საგარეო ვაჭრობის სახკომის მოადგილე ამხ. მ. ს. სტეპანოვი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე კორპუსის სარდალი ამხ. ი. ვ. სმოროდინოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებული ლიტვაში ამხ. ნ. გ. პოზდნიაკოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ლიტვაში ამხ. ს. ა. ეფანოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალტიისპირა ქვეყნების განყოფილების გამგე ამხ. ა. პ. ვასიუკოვი, ქალ. მოსკოვის კომენდანტი ბრიგადის მეთაური ამხ. ვ. ა. რევიაკინი, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ამხ. გ. ი. ოსეტროვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსის მოვალეობათა აღმსრულებელი ამხ. დ. დ. მიშუსტინი და ლიტვის მოსკოვის მისიის მთელი შემადგენლობა ელჩ ბ-ნ ნატკევიჩიუსის მეთაურობით.

აეროპორტი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ლიტვის ბაირაღებით.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნ. ვ. გორელკინი დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად იტალიაში. (საქდესი).

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს

მირზაანის ნავთის მუშაკთა პირველი წარმატებანი

მირზაანი, 7 ოქტომბერი (საქდესი). უკრაინის ნავთის მუშაკებთან შეჯიბრებამ და კრასნიპროლეტარელების მოწოდებამ, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავი აღინიშნოს ახალი საწარმოო გამარჯვებებით,— აამოძრავეს „საქნავთის“ წინათ ძლიერ ჩამორჩენილი მირზაანის სარეწაოს მუშაკთა მთელი მასა. მირზაანის ნავთის მუშაკებმა, ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება, ამ ბოლო დროს თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ, „საქნავთის“ მუშაკთა აქტივის თათბირის წინ, ნავთის მოპოვების დღიურ დავალებას სარეწაო თვალსაჩინო გარღვევით ასრულებდა. ახლა ნავთის მოპოვება განუხრელად მატულობს და უშუალოდ უახლოვდება გეგმით გათვალისწინებული დავალების დონეს. 6 ოქტომბერს მირზაანის სარეწაომ უკვე გადაჭარბებით შეასრულა დღიური დავალება.

საუცხოო შედეგებს მიაღწია ნავთის მოპოვების ოსტატმა ამხ. მოროზოვმა. ჩაება რა უკრაინის სს რესპუბლიკის რომნის ნავთის მუშაკებთან შეჯიბრებაში, მან პირობა დასდო, რომ ჭაბურღილებში, რომლებსაც ის მომსახურებას უწევს, ნავთის დღიურ მოპოვებას გეგმით გათვალისწინებული 15 ტონის ნაცვლად, 20 ტონამდე აიყვანდა. ნაკისრი ვალდებულება მან დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

ოქტომბრის XXII წლისთავს დიდი წარმატებებით ხვდება № 94 კომკავშირულ ჭაბურღილში მომუშავე ბრიგადა, ჭაბურღილი საექსპლუატაციოდ გადაცემულ იქნა 4 ოქტომბერს, ვადამდე 15 დღით ადრე. ნავთიანი ქანის გახსნის დროს ამოხეთქა 40 მეტრამდე სიმაღლის შადრევანმა. ჭაბურღილმა, საიდანაც შადრევანი პერიოდულად სცემს, ერთი დღე-ღამის განმავლობაში მოგვცა 15 ტონამდე ნავთი. თავის დროზე მიღებული ზომების მეოხებით დადგმულ იქნა საკვალთი და ნავთი მილებით წავიდა. თავგამოდებით მუშაობდნენ მბურღავი ამხ. მჭედლიშვილი, რომელმაც საკვალთი ძნელ პირობებში დადგა, აგრეთვე ბურღვის ოსტატი ამხ. ბაქოევი და ბრიგადის სხვა წევრები, რის შედეგადაც ჭაბურღილიდან ნავთის ამოხეთქის დროს არც ერთი კილოგრამი ნავთი არ დაკარგულა. ნავთის მუშაკი კომკავშირელები თავიანთ მიღწევას დიდი ოქტომბრის XXII წლისთავს უძღვნიან.

ბურღვის იმ კანტორის კოლექტივმა, რომელიც მირზაანისა და პატარა შირაქის ნავთის საძიებლებს აერთიანებს, უკრაინის ნავთის მუშაკებთან შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობით, თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. ბურღვის მესამე კვარტალის გეგმა შესრულებულია 120,3 პროცენტით, ხოლო 9 თვის გეგმა — 113 პროცენტით.

მირზაანში მთავრდება № 95 ახალი საექსპლოატაციო ჭაბურღილის თხრა. ნავარაუდევია მუშაობა ამ ჭაბურღილზე დამთავრდეს ვადამდე 20 დღით ადრე.

მირზაანის ბურღვის ოსტატები და მბურღავები შეუპოვრად იბრძვიან იმისათვის, რომ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება — ბურღვის წლიური გეგმა დაამთავრონ ვადამდე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავისათვის.

○

პატარა შირაქი, 7 ოქტომბერი (საქდესი). პატარა შირაქის ნავთის საძიებელ ადგილზე, № 1 საძიებელი ჭაბურღილის თხრის დროს, 450 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა სამრეწველო ნავთის შემცველი მძლავრი ფენი. გეოლოგების აზრით, იქმნება იმის პერსპექტივები, რომ ამ ტერიტორიაზე სულ ცოტა 40 საექსპლუატაციო ჭაბურღილი მოეწყოს.

პატარა შირაქში ბურღვა სწარმოებდა ახალი მოძრავი დაზგის „რა-400“-ის საშუალებით, რომლის გამოყენებამაც საუცხოო შედეგები მოგვცა.

უახლოეს დროში პატარა შირაქში დაიწყება ახალი საექსპლოატაციო ჭაბურღილების გათხრა.

წლიურ გეგმას პირველ დეკემბრისათვის შევასრულებთ

(ზესტაფონი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ზესტაფონის რაიონის საწარმო-დაწესებულებებში ერთსულოვნად მოიწონეს მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა ინიციატივა წინასაოქტომბრო შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

ამ საკითხზე ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაკთა საერთო კრებამ 5 ოქტომბერს მოისმინა პარტბიუროს მდივნის ამხ. მ. რაზმაძის ინფორმაცია.

სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველები ორდენოსანი ინჟინერი გ. ვეფხვაძე, ა. მესხი, ნ. ხვედელიძე, ი. სარალიძე და სხვ., რომლებმაც თავიანთი აღტაცება გამოსთქვეს ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა მოწოდების გამო და იკისრეს ახალი ვალდებულებები.

ქარხნის მუშაკები კისრულობენ, წლიური საწარმოო გეგმა 1 დეკემბრისათვის შეასრულონ.

კრასნიპროლეტარელების საპასუხოდ

(წულუკიძე, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა მოწოდებას წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრების გაშლის შესახებ მხურვალედ ეხმაურებიან წულუკიძის რაიონის მშრომელნი.

5 ოქტომბერს კრასნიპროლეტარელების წერილი განიხილეს აბრეშუმის ძაფსალებ ფაბრიკაში, აგურის ქარხანაში, ჩაის ფაბრიკაში, ჩაის საბჭოთა მეურნეობაში და მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის სტახანოველებმა ვალენტინა შულაიამ, ოლია სვიჩმა, ნიკოლაიშვილმა და სხვ. ვალდებულება აიღეს ოქტომბრის გეგმა 120 პროცენტით და მაღალხარისხოვნად შეასრულონ. ფაბრიკის მუშათა შორის ფართოდ გაიშალა სოცშეჯიბრება. ფაბრიკის კოლექტივი კისრულობს ოქტომბერში გეგმის ზევით ქვეყანას მისცეს 200 კილო აბრეშუმის ძაფი, მიაღწიოს ნედლეულის 5 პროც. ეკონომიას, თვითღირებულების 3 პროცენტით შემცირებას და საწვავი მასალისა და ელექტროენერგიის 10 პროც. ეკონომიას.

რესპუბლიკური თათბირი ციტრუსებისა და ტუნგოს ნარგავების გამოზამთრების საკითხებზე

7-8 ოქტომბერს საქ. მიწსახკომში მიმდინარეობდა რაიმიწგანებისა და მტს-ების უფროსი აგრონომების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისა და სპეციალისტების და კოლმეურნეობათა აგრონომების რესპუბლიკური თათბირი.

ციტრუსებისა და ტუნგოს ნარგავების გამოზამთრების საკითხზე მოხსენებებით გამოვიდნენ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკ. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის (ანასეული) მეცნიერი მუშაკები ამხ. ს. მგალობლიშვილი და გ. ნადარაია.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 27 კაცმა.

საქ. მიწსახკომის მოადგილემ ამხ. გ. ალავიძემ დაწვრილებით ილაპარაკა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც აუცილებლად უნდა გატარდეს ადგილებზე, რათა ციტრუსებისა და ტუნგოს ნარგავთა გამოზამთრება წარმატებით ჩატარდეს.

თათბირმა გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა, კამათში წამოყენებულ წინადადებათა საფუძველზე, შეიტანოს შესწორებანი და დამატებანი ინსტრუქციაში ციტრუსოვან ნარგავების ყინვისაგან დაცვის შესახებ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ს. ხოშტარიამ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ა. კობერიძემ.

(საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

უცხოეთის პრესის გამოხმაურება ჰიტლერის სიტყვის გამო

იტალია

რომი, 8 ოქტომბერი (საქდესი). იტალიის ყველა გაზეთი ვრცელ კომენტარს ათავსებს ჰიტლერის სიტყვის შესახებ. პრესა ერთსულოვნად მოუწოდებს საფრანგეთსა და ინგლისს სერიოზულად განიხილონ ამ სიტყვაში წამოყენებული წინადადებანი და კარგად მოიფიქრონ ის პასუხისმგებლობა, რომელსაც ისინი იკისრებენ, თუ ჰიტლერის სამშვიდობო წინადადება უარჰყვეს. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ვერსალის სისტემა მოკვდა. პრესა სპეციალურად ჩერდება ჰიტლერის წინადადებაზე იმის შესახებ, რომ შესაძლებელია აღდგენილ იქნას პოლონეთის სახელმწიფო წმინდა პოლონური მოსახლეობით. „მაშ რაღა საჭიროა ომი? ჰკითხულობს გაზეთი „ტევერე“. — ვერსალის აღსადგენად?“ სტატიის ავტორი ამას პოლიტიკურ უაზრობას უწოდებს.

იმავე იდეას ანვითარებს გაზეთი „ტრიბუნა“ და ხაზგასმით აღნიშნავს ომის შეწყვეტისა და ზავის შეკვრის საჭიროებას.

გაზეთი „ჯორნალე დ'იტალია“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა და ინგლისმა თავიანთ პასუხში ჰიტლერისადმი მხედველობაში უნდა მიიღოს „მათი ხალხების ჭეშმარიტი გრძნობები და ნამდვილი ინტერესები მათი ვრცელი, მდიდარი იმპერიებისა, რომელთაც შეიძლება ვნება მიადგეს“.

დანია

კოპენჰაგენი, 8 ოქტომბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო კოპენჰაგენიდან იუწყება, რომ ჰიტლერის სიტყვის შემდეგ დანიის პრესა განსაკუთრებული ინტერესით ჰკითხულობს: რას იზამენ დასავლეთის სახელმწიფოები? ყველა გაზეთი გამოსთქვამს მშვიდობიანობის სურვილს. „პოლიტიკენი“ სწერს: „არ შეიძლება ითქვას, რომ ჰიტლერის სიტყვას არ ჰქონდეს კონსტრუქციული თანმიმდევრული შინაარსი. საკითხი ახლა ის არის, შეიძლება თუ არა გატარებულ იქნას პროგრამა, რომელიც ჰიტლერმა განავითარა დასავლეთის სახელმწიფოებთან და მსოფლიოს სხვა ერებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის დარგში“.

შვეცია

სტოკჰოლმი, 8 ოქტომბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო სტოკჰოლმიდან იუწყება, რომ შვეციის გაზეთებს ჰიტლერის სიტყვა „მშვიდობიანობისადმი უკანასკნელ მოწოდებად“ მიაჩნიათ. „სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ აცხადებს, რომ შეთავაზებული მშვიდობიანობის გარანტია უნდა მოცემულ იქნას კონფერენციის დადებით განიარაღების შესახებ. დასავლეთის სახელმწიფოებმა უნდა გამოთქვან აზრი ჰიტლერის წინადადებათა გამო. უნდა ვიკითხოთ, როგორ აფასებენ ლონდონი და პარიზი თანამედროვე მდგომარეობას. ყველა ხალხს გადაჭრით სურს მშვიდობიანობა, მაგრამ არავის შეუძლია სთქვას, შესაძლებელია თუ არა ახლა მშვიდობიანობა.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 8 ოქტომბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას: „გერმანიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესების საზღვრისაკენ წინსვლა გეგმაშეწონილად მიმდინარეობს. უკანასკნელი ცნობების თანახმად, პოლონეთის იმ ჯარის ნაშთებს შორის, რომელმაც კაპიტულაცია მოახდინა კოცკთან, გერმანიის ჯარს დანებდა დივიზიის 2 მეთაური, 1255 ოფიცერი და 15.600 უნტერ-ოფიცერი და ჯარისკაცი. იმავდროულად ხელთ ვიგდეთ 10.200 შაშხანა და რევოლვერი, 205 ტყვიამფრქვევი, 20 ქვემეხი, 5 ათასზე მეტი ცხენი და დიდძალი საომარი საჭურველი.

დასავლეთით მთელი დღის განმავლობაში ორივე მხრიდან საარტილერიო სროლა იყო. ღამით აქაიქ ისმოდა სროლა“.

საფრანგეთის კომუნიკე

პარიზი 8 ოქტომბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს 7 ოქტომბრის შემდეგ კომუნიკეს საომარი მოქმედების შესახებ: „მოზელსა და საარს შუა მდებარე რაიონში აღნიშნულია ორივე მხარის არტილერიის მოქმედება. აღნიშნულია აგრეთვე ორივე მხარის პატრულთა მოქმედება ცვაიბრიუკენის სამხრეთით“.

პარიზი, 8 ოქტომბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტო რადიოთი იუწყება: „ოქტომბრის პირველი კვირის განმავლობაში საფრანგეთის ფლოტმა დააკავა გერმანიისათვის დანიშნული 30.000 ტონა საქონელი“.

გერმანიის ეკონომიური დელეგაციის ჩამოსვლა

ა-წ. 8 ოქტომბერს მოსკოვს ჩამოვიდნენ გერმანიის მთავრობის საგანგებო რწმუნებული ეკონომიურ საკითხებში ბ-ნი რიტერი და ბ-ნი შნურე—მეთაური გერმანიის ეკონომიური დელეგაციისა, რომელიც 12 კაცისაგან შესდგება. დელეგაციაში შედიან სახალხო მეურნეობის სამინისტროს, მიწათმოქმედების სამინისტროს, რკინიგზათა სამინისტროს წარმომადგენლები და მთელი რიგი ექსპერტები.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა გერმანიის სასაზღვრო კომისიის მეთაური ბ-ნი გენკე.

ცენტრალურ აეროპორტზე ჩამოსულთ შეეგებნენ: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. მ. ს. სტეპანოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი გერმანიაში ამხ. ე. ი. ბაბარინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური ევროპის განყოფილების გამგე ამხ. ა. მ. ალექსანდროვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საექსპორტო სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ფ. ინოზემცევი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საიმპორტო სამმართველოს უფროსი ამხ. ვ. ა. სერგეევი და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. დ. დ. მიშუსტინი, პირველი მდივანი სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა ბერლინში ამხ. ვ. ნ. პავლოვი, მოადგილე სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლისა გერმანიაში ამხ. გ. პ. ბუდიაკოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საოქმო ნაწილის უფროსი ამხ. ს. ა. ვშივკოვი და გერმანიის საელჩოს შემადგენლობა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ ფონ-შულენბურგის მეთაურობით.

გერმანიის სამეურნეო წარმომადგენლების ბ-ნ რიტერისა და შნურეს მიღება ამხ. მოლოტოვის მიერ

8 ოქტომბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მოლოტოვმა მიიღო გერმანიის მთავრობის საგანგებო რწმუნებული ეკონომიურ საკითხებში ბ-ნი რიტერი და გერმანიის ეკონომიური დელეგაციის მეთაური ბ-ნი შნურე.

საუბრის დროს მიღწეულ იქნა თანხმობა იმის შესახებ, რომ ეკონომიური პროგრამა, რომლის შესახებაც შეთანხმება მოხდა საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ფონ-რიბენტროპის მოსკოვში ამ უკანასკნელად ყოფნის დროს, განხორციელებულ იქნება ორივე მხარის მიერ სწრაფი წესით და ფართო მასშტაბით. ამასთან, კერძოდ, მოხდა შეთანხმება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი დაუყოვნებლივ იწყებს გერმანიის მომარაგებას ნედლეულით, ხოლო გერმანია სსრ კავშირისათვის საქონლის მიწოდებას.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

7 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

სიგელები საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ და ლენინის ორდენი გადაეცა მაიორს ამხ. კ. ნ. აბრამოვს და ბატალიონის კომისარს ამხ. ვ. ნ. კალაჩევს, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და გმირობისათვის, რომელიც მათ ამ დავალებათა შესრულებისას გამოიჩინეს.

ამის შემდეგ საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამ საქმეში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ორდენები გადაეცა წითელი არმიის მეთაურთა ჯგუფს. მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის გმირები: ამხ. ნ. ს. გერასიმოვი, ი. ი. დუშკინი, ი. ა. ლაკეევი, ვ. ი. შევჩენკო და ს. პ. დენისოვი, უფროსი ლეიტენანტი ამხ. პ. ვ. პოლოზი, უფროსი პოლიტხელი ამხ. ვ. ი. ჩურკინი, ბატალიონის კომისარი ამხ. ი. ე. ასტაპენკო და სხვა ამხანაგები.

საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხასანის ტბის რაიონის დაცვისას გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ჯილდოები გადაეცა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეომართა და მეთაურთა ჯგუფს. ორდენები და მედლები გადაეცა აგრეთვე მთელ რიგ დაჯილდოებულ სამხედრო მუშაკებს.

დამსწრენი გულმხურვალედ ეგებებიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრს ამხ. ნ. ა. მოროზოვს, რომელიც დაჯილდოებულია, 85-წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, მშრომელთა წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის, როგორც რევოლუციონერი და მეცნიერი.

ორდენები და მედლები გადაეცა სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის ორგანიზატორებს, მშენებლებსა და გამფორმებლებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი — საქართველოს სსრ პავილიონის არქიტექტორს ამხ. ა. ვ. ქურდიანს, პავილიონ „მექანიზაციის“ არქიტექტორს ამხ. ვ. ს. ანდრეევს, 1 საამშენებლო უბნის სამუშაოთა მწარმოებელს ამხ. ა. ბ. მოვსესიანს, საგზაო სამუშაოთა ოსტატს ამხ. ვ. ი. სერიოგინს, კალატოზთა ბრიგადირს ამხ. გ. მ. ტარასენკოს, უკრაინის სსრ პავილიონის მთავარ მხატვარს ამხ. ა. ვ. ვოსტენკო-ხვოსტოვს, ამ პავილიონის არქიტექტორს ამხ. ა. ა. ტაციის და სხვებს, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან გამოფენის მშენებლობის სამუშაოთა წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით. მათი სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ა. გ. ქურდიანმა.

მინსაბერი წარმოების დარგში მნიშვნელოვანი გამოგონებისათვის და ამ წარმოების წარმატებით ათვისებისათვის ჯილდოები გადაეცა მინის მრეწველობის მუშაკთა ჯგუფს.

ამხ. მ. ი. კალინინმა გულმხურვალედ მიულოცა ყველა დაჯილდოებულ ამხანაგს და ახალი წარმატებანი უსურვა მათ თავიანთ მუშაობაში (საქდესი).

გამოფენაზე ზამთრისათვის ემზადებიან

მოსკოვი (ბილდაპარატით „კომუნისტის“ კორ.). სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე უკვე ნამდვილი შემოდგომა დადგა. ვაშლისა და მსხლის ხეებს სცვივათ ფოთოლი. ვაზები შეფუთულია წიწვით და ქეჩით. შენდება სათბურები. ხეივნების გასწვრივ თეთრად მოსჩანს თოვლის ზოლები. გამოფენის მუშაკები მარტო ზამთრისათვის მზადებაზე როდი ზრუნავენ. მათ უნდათ რაც შეიძლება კარგად შეხვდნენ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის უკანასკნელ მნახველებს. საქართველოს პავილიონში იზრდება ექსპონატების რიცხვი, უმჯობესდება სტენდები. ლიმონების რაოდენობა აყვანილია 20 ათასამდე. გამოფენილია ახალი მოსავლის ლიმონები. იზრდება ყურძნით, კომშით, „ლენსბერგის“, „ბელფლერის“ ვაშლით, „არდამპონის“ მსხლით სავსე კალათების რიცხვი.

გამოფენის დირექცია აწარმოებს დიდ საორგანიზაციო მუშაობას — მომავალი წლისათვის მზადებას. 1940 წელს პავილიონის გახსნა ნავარაუდევია ივნისში. მომავალ წელს გამოფენის მონაწილეთა რიცხვი გადიდდება სამჯერ. გამოფენის საექსპოზიციო ფართობის სამი მეოთხედი შეცვლილი იქნება. ეს გამოწვეულია იმით, რომ გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის შეჯიბრებაში დაწინაურდა ასობით ახალი კოლმეურნეობა, რომლებმაც გადააჭარბეს გასული წლის მიღწევებს. დასახულია დიდი სამუშაოები მხატვრულ-არქიტექტურულ დარგშიც. გათვალისწინებულია, რომ მარტო სამღებრო სამუშაო ჩატარდება 100 ათას კვადრატულ მეტრზე. დიდი გეგმები აქვთ აგრეთვე საქართველოს პავილიონის მუშაკებსაც. კოლხიდის დიორამის ავტორმა მხატვარმა კილჩევსკიმ გაგვიზიარა თავისი გეგმები პავილიონის სტენდების სხვანაირად მოწყობის, მათი გაღრმავების, შუქით გაფორმების შესახებ, პანორამის შესახებ, რომელმაც უნდა გამოხატოს ჩაის პლანტაცია.

ემატება ჩანაწერები გამოფენის III წიგნში. 29 სექტემბერს ამ წიგნში თავისი ავტოგრაფები დასტოვეს ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. სელტერმა და ესტონეთის ელჩმა მოსკოვში ა. რეიმ, რომლებიც დაწვრილებით გაეცნენ საქართველოს პავილიონს. საქართველოს პავილიონში დაიწყო ფილმ „საბჭოთა სუბტროპიკების“ გადაღება. ამ ფილმის რეჟისორია ზარგაროვი, ოპერატორი — სტროდი. ფილმი ასახავს საბჭოთა სუბტროპიკების უდიდეს სიმდიდრეს და გვიჩვენებს იმ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების დიად შრომას, რომლებიც ჭაობიან კოლხიდას აქცევენ საბჭოთა სუბტროპიკების საუცხოო ბაღნარად.

მექანიზაციის პავილიონში შემოვიდა ახალი ექსპონატი — სამტონიანი სატვირთო ავტომობილი — ზის-5. ავტომობილის მოტორი მუშაობს გაზების პროპანისა და ბუტანის გათხიერებული ნარევით. ავტომობილი ამასწინათ დაბრუნდა საცდელი გადარბენიდან გროზნო — დონბასი — მოსკოვის მარშრუტით. მალე დაიწყება ზის-5-ის სერიული დამზადება.

დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში

ემზადებიან სასიხარულო დღესასწაულისათვის

გუსიატინი (დასავლეთი უკრაინა), 7 ოქტომბერი (საკდესი). გუსიატინის თემის მშრომელები ემზადებიან, რათა სიხარულითა და თავისუფლად პირველად იდღესასწაულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავი.

ადგილობრივმა დროებითმა მმართველობამ შექმნა საოქტომბრო კომისია, რომელშიც შედის გუსიატინისა და მახლობელი სოფლების 9 მცხოვრები.

სოფლებში ატარებენ საუბრებს სახელოვანი წლისთავის შესახებ, დაბის მცხოვრებნი სახლებს ათეთრებენ. წესრიგში მოჰყავთ ქვაფენილები, გზატკეცილები და ხიდები.

დიადი დღესასწაულისათვის გუსიატინში გაიხსნება სახალხო სახლი, ხოლო მთელ რიგ სოფლებში — ქოხ-სამკითხველოები და წითელი კუთხეები. ახალგაზრდობა სწავლობს საბჭოურ სიმღერებს, ამზადებს დასადგმელად პიესებს დასავლეთი უკრაინის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის შესახებ პოლონელი შლიახტის წინააღმდეგ.

მშრომელები აცხადებენ:

— ჩვენ პირველად აღვნიშნავთ თავისუფლად დიად რევოლუციურ დღესასწაულს მძლავრ საბჭოთა ხალხთან ერთად. ეს იქნება ყველაზე ბედნიერი დღესასწაული ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენი ჭეშმარიტი დღესასწაული.

მარილი, ასანთი, ნავთი

დასავლეთი ბელორუსია, 7 ოქტომბერი (საკდესის სპეცკორი). დასავლეთ ბელორუსიის ქალაქებსა და დაბებში თითქმის ყოველდღიურად მოდის მარილით, ასანთის ყუთებით, წეკოთი და ნავთის ცისტერნებით დატვირთული ავტომანქანები. საბაკალეო და ნავთის დუქნებთან სწრაფად ჰქრება რიგები. მყიდველები მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ ხვალაც შესძლებენ იშოვონ მარილიც, ასანთიცა და ნავთიც.

გლეხებს ახლა უკვე აღარ სჭირდებათ მარილზე წასვლა 40-50 კილომეტრით დაშორებულ სამაზრო ქალაქში.

პოლონეთის უხეირო მმართველებში სულ აუცილებელსაც არ აწვდიდნენ დასავლეთი ბელორუსიის ქალაქებსა და სოფლებს დიდი ხნის განმავლობაში.

გლეხები თვეობით ვერ შოულობდნენ მარილს, ნავთს, ასანთსა და წეკოს. 10 კილოგრამი მარილი რომ ეყიდნა, გლეხს თითქმის ორი ფუთი ჭვავი უნდა გაეყიდა. ერთ ჩარექ (100 გრამი) წეკოში 50-60 კილოგრამი მარცვალი უნდა მიეცა.

გლეხის მდგომარეობაზე, მის მსყიდველობით უნარიანობაზე მკვეთრ გავლენას ახდენდა ისიც, რომ ჭირნახულის მოსავლიანობა სწრაფად ეცემოდა. გადასახადები მატულობდა. სვენციანის მაზრაში, მაგალითად, ხუთი სულისაგან შემდგარ საშუალო ოჯახს კვების პროდუქტებისათვის შეეძლო დაეხარჯა სულ ბევრი 200 ზლოტი წელიწადში.

მოსახლეობა მუშაობდა, შიმშილობდა, უმარილო კარტოფილს სჭამდა, საღამოობით სიბნელეში იჯდა, ადრე იძინებდა მხოლოდ იმისათვის, რომ მთელი თავისი მცირე შემოსავლით მრავალი გადასახადი გაესტუმრებინა.

რაღა ვილაპარაკოთ, — განაცხადა ღარიბმა გლეხმა ბლაჟევიჩმა გლეხთა კომიტეტების თავმჯდომარეთა ყრილობაზე ვილნოში, — პანები ტყავს გვაძრობდნენ, მაგრამ შლიახტებს ბოლო მოეღოთ! წითელმა არმიამ პანების უღლისაგან გაგვანთავისუფლა. საბჭოთა მთავრობა გვეხმარება ნორმალური ცხოვრების მოწყობაში, უზრუნველჰყოფს მოსახლეობის ნორმალურ მომარაგებას პირველი მოთხოვნილების საქონლით. ამ დახმარებას დასავლეთი ბელორუსიის მშრომელები არასოდეს არ დაივიწყებენ.

ჰოსპიტალში

როვნო, 7 ოქტომბერი (საკდესი). როვნოს ჰოსპიტალში წითელი არმიის დაჭრილ მეომრებთან ერთად იწვა პოლონეთის ყოფილი არმიის რამდენიმე ჯარისკაცი. პირველ ხანებში მათ რამდენადმე განცალკევებულად ეჭირათ თავი, მაგრამ მალე შეეჩვივნენ მდგომარეობას და მეგობრული საუბარი გამართეს წითელარმიელებთან. ერთერთი პოლონელი ჯარისკაცი მივიდა კაპიტან ამხ. მოსკალენკოს საწოლთან, ჩამოჯდა და დაიწყო ლაპარაკი:

— მე გლეხი ვარ. მაქვს მეოთხედი მორგი მიწა. ჩვენ ოთხი ძმა ვართ, ყველანი ჯარში გაგვიწვიეს. ქოხში ისეთი სიმჭიდროვე გვაქვს, რომ, როცა დასაძინებლად ვწვებით, იატაკზედაც კი აღარ რჩება ადგილი...

ჯარისკაცი უამბობდა თავისი ცხოვრების შესახებ, მას თავისუფლად ეჭირა თავი. იგი ჰფიქრობდა, რომ წითელი არმიის რიგითს მეომარს ელაპარაკებოდა. მაგრამ ამ დროს მეთაურთან მივიდა ჩვენი მეომარი.

— ამხანაგო კაპიტანო... — მიმართა მეომარმა.

პოლონელი ჯარისკაცი ფეხზე წამოვარდა. ძალზე აღელვებულმა ჩაილაპარაკა:

— მე არ ვიცოდი... მაპატიეთ... მე უბრალო ჯარისკაცი დავჯექი თქვენს საწოლზე... მაპატიეთ, პან კაპიტანო.

ჯარისკაცს სახე გაუფითრდა. ბაგეები უთრთოდა. იგი შეშინებული უყურებდა მეომრებს.

— მაპატიეთ, პან კაპიტანო, — იმეორებდა იგი.

სიბრალულს იწვევდა ეს ადამიანი. პოლონელმა ოფიცრებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მორალურად დაესახიჩრებინათ იგი.

დიდი გაჭირვებით მოახერხეს მეომრებმა და მეთაურმა ჯარისკაცის დამშვიდება. განუმარტეს მას, თუ რა უფსკრული ძევს წითელ არმიასა და კაპიტალისტური ქვეყნების არმიებს შორის.

სემიონ კირსანოვი

ჩვენებურები

ძლევის მარშით გადავლახეთ
როცა მინდორ-ველი,
ჩვენებური ხალხი ვნახეთ —
ნაცნობები ჩვენი.
ამ მოხუცებს საზღვარგარეთ
უსათნოეს სახით
ვესაუბრეთ! — გავიხარეთ
ჩვენებურთა ნახვით.
ნათესავებს მტრები გვყოფდნენ
ოცი წელიწადი...
აბა, ვით არ ვამაყობდეთ
დღევანდელი მადლით?!
ხედავ ნაცნობ სახის ციმციმს
კაცის — სიძის ცალის,
ხალხში ხარ და შემოგცინის
ნათესავის თვალი.
რა სიმღერას და რა ჰანგებს
და რა შვებას ულევს
გვაწვდის მებრძოლ-ამხანაგებს —
თანამემამულეს.
ჩაეხვია მინსკი ვილნოს,
ჩაეკონა ძმურად —
უნდა მასთან მოილხინოს
მუდამ ჩვენებურად.
ვდგევართ მჭიდროდ, გვესმის მათი
სიმღერების გრგვინვა:
„მამ სტალინურ საქმისათვის
გასწით მედგრად წინა!“

სთარგმნა ბიძინა აბულაძემ

პროფკავშირთა სამაზრო კრება

როვნო, 7 ოქტომბერი (საკდესი). დღეს გაიმართა პროფკავშირთა პირველი სამაზრო კრება. კრებაზე ჩამოვიდა 800 მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი, ექიმი და სხვ. უდიდესი ყურადღებით იქნა მოსმენილი ქალაქის დროებითი მმართველობის წარმომადგენლის ამხ. უსპენსკის მოხსენება პროფკავშირთა მორიგი ამოცანების შესახებ. მან უამბო კრებას, თუ რა როლი აქვს პროფკავშირებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, აგრეთვე მრეწველობისა და ქალაქის მეურნეობის აღდგენის საქმეში.

კრებაზე გამოსულებმა მადლობა მიუძღვნეს საბჭოთა ხალხს, წითელ არმიასა და დიდ სტალინს პოლონელი შლიახტის უღლისაგან დასავლეთი უკრაინის მშრომელთა განთავისუფლებისათვის; მათ აღნიშნეს, რომ მაზრის საწარმოთა მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურენი აღგზნებული არიან სურვილით, რათა რაც შეიძლება მალე მოაგვარონ მრეწველობის მუშაობა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდა 15 კაცი.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მოუწოდებს პროფკავშირის წევრებს დაირაზმონ მრეწველობის რაც შეიძლება მალე აღდგენისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მაზრის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეთა შორის ფართო კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლისათვის. კრებამ პროფკავშირის ყველა წევრს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღოს რევოლუციური წესრიგის დაცვისათვის ბრძოლაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წისქვილების, ფურნეების, მაკარონის ქარხნისა და სხვა იმ საწარმოთა მუშაობას, რომლებსაც ეკისრებათ მოსახლეობის მომარაგება კვების პროდუქტებით.

გადაწყდა ყველგან მოეწყოს წითელი კუთხეები და სსრ კავშირის კონსტიტუციისა და უკრაინის სსრ კონსტიტუციის შემსწავლელი წრეები.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნა მისალმება ამხანაგ სტალინს.

დასავლეთ უკრაინაში, წითელარმიელი ა. ვ. ბლიშჩაკი ესაუბრება პოლონელ ჯარისკაცს ქალაქ ტარნოპოლში.

ფოტო ციდილკოვსკისა (საკდესის ფოტოკლიშე)

სომხური ხელოვნების დეკადა მოსკოვში

20 ოქტომბერს მოსკოვში დაიწყება სომხური ხელოვნების დეკადა. მოძმე სომხეთის თავისუფალი ხალხის კულტურა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, განსაკუთრებით გაიფურჩქნა საბჭოთა ხელისუფლების დროს. გაიზარდა ნიჭიერი ახალი თაობა, რომელმაც მაღალ საფეხურზე აიყვანა სომხური ხელოვნება. მისი ზრდისა და მაღალი წარმატებების ნამდვილი დემონსტრაცია იქნება ის დეკადა, რომელიც 20 ოქტომბრიდან ჩატარდება საბჭოთა კავშირის დედაქალაქში.

დეკადის განმავლობაში ნაჩვენები იქნება ოპერები: ა. სპენდიაროვის „ალმასტი“, ა. ტიგრანიანის „ანუში“ და ა. სტეპანიანის „განთიადზე“.

ა. სპენდიაროვის „ალმასტს“ ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს თბილისის საოპერო თეატრის დადგმით. ოპერის სიუჟეტი აღებულია ო. თუმანიანის პოემიდან „თმკაბერტის აღება“ და ასახავს სომხეთის ხალხის ბრძოლას ირანელთა თავდასხმის წინააღმდეგ მე-17 საუკუნეში. დეკადისათვის ოპერა დასდგა რეჟისორმა გ. ოვანესიანმა, დირიჟორია ტ. ბუდაგიანი. მხატვრობა ეკუთვნის მ. სარიანს. მთავარ პარტიებს ასრულებენ: ტ. საზანდარიანი (რუბენ), ა. ანნიანი (გაიანე), ვ. გუსილნიკოვი (შეიხი), გ. გაბრიელიანი (აშუღი), დამსახ. არტისტი ლ. ისეცკი (შაჰი ნადირი) და სხვები.

ა. ტიგრანიანის ოპერა „ანუში“ აგებულია ო. თუმანიანის იგივე სახელწოდების კარგად ცნობილ ნაწარმოების სიუჟეტზე. ოპერა დადგა რეჟისორმა ა. გულაკიანმა, მხატვრობა ეკუთვნის პ. ანანიანს, დირიჟორობს მ. თავრიზიანი. მთავარ პარტიებს ასრულებენ: სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი ა. დანიელიანი (ანუშ), შარა ტალიანი (სარო), ნ. ხერდობოვი (მოსი). სპექტაკლში ნაჩვენებია ძველი ხალხური ცეკვები, დღესასწაულები.

ა. სტეპანიანის ოპერა „განთიადზე“, დაწერილი დიდი ტემპერამენტითა და ვნებით, აგვიწერს სომხეთის ხალხის ბრძოლას დაშნაკების წინააღმდეგ 1920 წელს. დადგმა ეკუთვნის ა. კალანტარს, მხატვრობა — მ. მრუტჩიანს, მთავარ პარტიებს ასრულებენ: ა. აზიზიანი (არევიკა), ა. ავაკიანი (არამი), შ. ტალიანი და პ. ლისიციანი (ბოლშევიკი გრიგორი), ნ. ფომინი (ოგსენი).

დეკადის პროგრამაში შედის ბალეტი „ბედნიერება“, დაწერილი სპეციალურად დეკადისათვის კომპოზიტორ ა. ხაჩატურიანის მიერ. ლიბრეტო ეკუთვნის გ. ოვანესიანს და გვიჩვენებს სომეხ კოლმეურნეთა ბედნიერ, საამურ ცხოვრებას. ბალეტის დამდგმელია ბალეტმეისტერი ი. არბატოვი, დირიჟორია პროფ. სარაჯევი, მხატვარი — [illegible]. სპექტაკლში მონაწილეობენ: ვ. ბურნაზიანი, გ. არუტი და ლ. ვოინოვა-შიკანიანი (კარინე), გ. გეორგიანი და ს. სარქისიანი (არმენ), ი. არბატოვი (მოხუცი გაბო), ბ. მურადიანი (ხუმარა ავეტა).

დეკადაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე აშუღები, ცეკვისა და სიმღერების ანსამბლი ა. ალთუნიანის ხელმძღვანელობით, სომხეთის სახელმწიფო გუნდი, სახელმწიფო ჯაზ-ორკესტრი კომპ. ა. აივაზიანის ხელმძღვანელობით, კომიტასის სახელობის კვარტეტი, ერევნის ფილარმონიის ხალხურ საკრავთა ორკესტრი და სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტები.

დეკადის უკანასკნელი კონცერტი დასრულდება კომპ. ა. ხაჩატურიანის ცნობილი სიმღერით „პოემა სტალინის შესახებ“, რომელსაც შეასრულებს დეკადის ყველა 920 მონაწილე.

სომხური ხელოვნების დეკადის მნიშვნელობა დიდია. იგი გააცნობს მოსკოვსა და მთელ საბჭოთა კავშირს სომხეთის ხალხის მაღალ ხელოვნებას, რომელიც გაიფურჩქნა და გაიზარდა ლენინ-სტალინის პარტიის მზრუნველობით, გაამდიდრებს მოსკოვისა და სხვა წამყვან თეატრებს ახალი რეპერტუარით, ხელს შეუწყობს თვით სომხეთის ხელოვნების მუშაკთა შემდგომ ზრდას.

კავშირგაბმულობის აღდგენა დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში

საუბარი სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარ ამხ. ი. ტ. პერესიპკინთან

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი ყოველდღიურად იღებს დასავლეთ უკრაინიდან და დასავლეთ ბელორუსიიდან ცნობებს ადგილობრივი კავშირგაბმულობის აღდგენის შესახებ. საკდესის თანამშრომელთან საუბარში სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარმა ამხ. ი. ტ. პერესიპკინმა შემდეგი განაცხადა:

— წითელი არმიის იერიშების გამო უკანდახეული პოლონეთის დაქსაქსული ჯარის ნაწილები და ოფიცერთა ბანდები ანგრევდნენ კავშირგაბმულობას. მათ მოშალეს ვილნოს, ლვოვისა და ბარანოვიჩის რადიოსადგურები, დააზიანეს მოწყობილობა და რამდენიმე ადგილას გადასჭრეს ბრისტ-ლიტოვსკის სატელეფონო-სატელეგრაფო კვანძის კაბელი, მთლად მოშალეს ლვოვის საქალაქო სატელეფონო სადგურის მოქმედება, დააზიანეს ტარნოპოლ-ლვოვის, ბარანოვიჩი-ბელოსტოკისა და სხვა ხაზები.

საბჭოთა სამხედრო და სამოქალაქო მეკავშირენი ადგილობრივი მუშაკების დახმარებით დიდი ენტუზიაზმით შეუდგნენ ახლა დარღვეული კავშირგაბმულობის აღდგენას. ლვოვში უკვე მოქმედებს ქალაქის სატელეფონო სადგურის რამდენიმე ათასი ნომერი, მთლიანად აღდგენილია და უკვე რეგულარული მუშაობა დაიწყო ლვოვის რადიოსადგურმა. ამ დღეებში ამუშავდება დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის რამდენიმე სხვა რადიოსადგური. მოგვარებულია სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობა მინსკ-ვილნოს, ნოვოგრად-ვოლინსკ-როვნო-დუბნოს, მინსკ-ვოლკოვისკის და მთელ რიგ სხვა ხაზებზე. აღდგენილია ლვოვის სატელეფონო-სატელეგრაფო კვანძი, სტანისლავოვის კვანძის 4 მიმართულება, ტარნოპოლის კვანძის 5 მიმართულება და სხვ.

ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი. ჩვენი მეკავშირენი არამარტო დანგრეულის აღდგენას აწარმოებენ, არამედ ახალსაც ჰქმნიან. პოლონელი პანების სამარცხვინო ბატონობის ხანაში არსებობდა მხოლოდ სამი სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზი, რომელიც აერთიებდა პოლონეთსა და სსრ კავშირს: მინსკ-ბარანოვიჩის, ნოვოგრად-ვოლინსკ-კორეცისა და პოლოცკ-პოსტავის ხაზები. ამჟამად ჩვენ უკვე შევქმენით რვა ახალი სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზი დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში: პროსკუროვ-ტარნოპოლი, ნოვოგრად-ვოლინსკ-როვნო, შეპეტოვკა-ზდოლბუნოვო და სხვ. განთავისუფლებულ ქალაქებში გაგზავნილია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისა და დიდი უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოსადმი მიძღვნილი მარკები ერთი მილიონი მანეთისა. მზადდება საფოსტო მარკების ახალი მხატვრული სერია; ეს მარკები მიძღვნილია პოლონელი პანების უღლისაგან დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთი ბელორუსიის მშრომელთა განთავისუფლებისადმი. (საკდესი).

ახალი კალაპოტით

უგლიჩი, 6 ოქტომბერი (საკდესი). დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, მდინარე ვოლგის ძველი კალაპოტი გადახურულ იქნა ქვის ბანკეტით. ამიერიდან ვოლგის წყალი წავა ახალი დამაკავშირებელი კალაპოტით რკინა-ბეტონის კაშხალის საშუალებით.

ამ გამარჯვებას წინ უსწრებდა უგლიჩის ჰიდროკვანძის მთელი კოლექტივის დიდი დაძაბული მუშაობა.

ჰიდროკვანძის ნაგებობებში დაგებულია 437 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და შესრულებულია დაახლოებით 10 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები.

ვოლგის ნაპირებზე ჰიდროკვანძის სულ ახალ-ახალი ნაგებობანი ჩნდებიან. სახეს იცვლის აგრეთვე ძველი ქალაქი უგლიჩი. მალე იგი გახდება დიდი სამრეწველო ცენტრი, რომელიც იაფფასიან ელექტროენერგიას მიაწვდის მოსკოვს, იაროსლავისა და ივანოვოს ოლქების ქალაქებს.

რეგულარული საჰაერო საფოსტო მიმოსვლა დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიასთან

5 ოქტომბერს გაიხსნა რეგულარული საჰაერო საფოსტო მიმოსვლა მოსკოვსა, დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიას შორის. პირველი რეისით ორმა თვითმფრინავმა ვოლკოვისკსა და ლვოვში წაიღო ერთნახევარ ტონამდე გაზეთები „პრავდა“, „იზვესტია“ და „კრასნაია ზვეზდა“. 6 ოქტომბერს თვითმფრინავებით გაზეთთან ერთად გაიგზავნა საფოსტო კორესპონდენცია.

კიევიდან და მინსკიდანაც მიაქვთ თვითმფრინავებს დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში პერიოდული პრესა. (საკდესი).

უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა პოლონეთის შლიახტის უღლის წინააღმდეგ და უკრაინის შეერთება რუსეთთან

უკრაინის ისტორია — ეს არის უკრაინელი ხალხის განუწყვეტელი ბრძოლა მისი საუკუნეობრივი მტრის — პოლონეთის შლიახტის წინააღმდეგ.

XIV საუკუნის დამლევიდან XVII საუკუნის დამდეგამდე პოლონელმა პანებმა ხელთ იგდეს თითქმის მთელი უკრაინა. შლიახტა ძალადობით ითვისებდა მიწის დიდ სივრცეებს, იმონებდა გლეხებს. პოლონელი პანები აფერხებდნენ ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას, ასახლებდნენ უკრაინაში პოლონელ კოლონისტებს.

პოლონეთის შლიახტა იმონებდა ყაზახებსაც, ართმევდა მათ მიწებსა და პირუტყვს. შლიახტის მიერ საშინელმა ჩაგვრამ გამოიწვია უკრაინელი ხალხის აჯანყებათა ტალღა, უკრაინელები იარაღით ხელში ილაშქრებდნენ მჩაგვრელების წინააღმდეგ. უკრაინელი ხალხის ერთადერთი გამოსავალი, მათი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო პოლონეთის შლიახტის უღლის გადაგდება და რუსეთთან, მოძმე რუს ხალხთა გაერთიანება. და ამიტომ უკრაინაში შლიახტური პოლონეთის ბატონობის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი აჯანყებების დროს ჩვენ ვხედავთ, რომ აჯანყებულნი ამოცანად ისახავენ უკრაინის შეერთებას რუსეთთან; დამარცხების შემთხვევებში აჯანყებულნი თავშესაფარს რუსეთში ეძებენ. მეტიც, — პოლონეთის შლიახტის უღლისაგან თავის დასაღწევად სულ უფროდაუფრო მეტი ხალხი სახლდება უკრაინიდან რუსეთში. მაგალითად, 1589 წელს რამდენიმე ასეული უკრაინელი ყაზახი მათი ფედოროვის მეთაურობით გადასახლდა რუსეთში. უკრაინიდან ბევრი გადასახლებული XVI საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდა რუსეთის საზღვრისპირა ადგილებში და ეხმარებოდა რუსებს თათართა თავდასხმებისაგან საზღვრების დაცვაში.

1594 — 1596 წლებში პოლონელი შლიახტის წინააღმდეგ გ. ლობოდას და ს. ნალივაიკოს ხელმძღვანელობით უკრაინელი გლეხებისა და ყაზახების აჯანყების დროს აჯანყებულთ ჰქონდათ გეგმები — გადასულიყვნენ რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში. 1630, 1637-1638 წლების აჯანყებების დროსაც აჯანყებულებს განზრახვა ჰქონდათ შეეერთებინათ უკრაინა რუსეთთან.

პოლონელი შლიახტის წინააღმდეგ XVII საუკუნის 30-იან წლებში უკრაინელი ხალხის აჯანყებათა დამარცხება იწვევს უკრაინიდან რუსეთის ფარგლებში ხალხის გადასახლების ზრდას. ასე, მაგალითად, 1635-1636 წლებში ყოფილი გეტმანი ტარას ჩორნი რუსეთის მთავრობასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას უკრაინელი ხალხის მნიშვნელოვანი რაოდენობის რუსეთში გადასახლების შესახებ. 1637-1638 წ. აჯანყების დამარცხების შემდეგ ათასამდე უკრაინელი ოჯახი ყოფილ გეტმან ი. ოსტრიანინის მეთაურობით გადასახლდა რუსეთის ფარგლებში, სლობოდის უკრაინაში. ასევე 1639 წელს მეორე ხელმძღვანელი 1637-1638 წლების აჯანყებისა დ. გუნია თავისი რაზმით გადადის რუსეთის ფარგლებში. როგორც თანამედროვენი ანგარიშობდნენ, 30-იანი წლების დამდეგს პოლონელი შლიახტის უღელს გაექცა და უკრაინიდან რუსეთში გადასახლდა 20 ათასამდე კაცი — ეს რაოდენობა იმ დროისათვის ძალიან დიდია.

1648 წელს უკრაინაში დაიწყო უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელი ომი პოლონეთის შლიახტის წინააღმდეგ. ეს სამართლიანი ომი იყო. უკრაინელი ხალხი იბრძოდა თავისი არსებობისათვის, თავისი სიცოცხლისათვის. ხალხის წინაშე იდგა საკითხი: მოეშორებინა შლიახტური პოლონეთის უღელი. მხოლოდ მოღალატენი — უკრაინელი პანების და უმაღლესი სამღვდელოების ნაწილი — უჭერდნენ მხარს პოლონეთს. უკრაინელი ხალხის ამ განმათავისუფლებელ ომს სათავეში ჩაუდგა ყაზახთა მამასახლისი, ჩიგირინელი ასისთავი, ბოგდან მიხეილის ძე ხმელნიცკი.

განმათავისუფლებელი ომის პროცესში ბოგდან ხმელნიცკიმ თავი გამოიჩინა როგორც ყაზახთა მმართველი წრის საუკეთესო ნაწილის წარმომადგენელმა, ნიჭიერმა მხედართმთავარმა, ორგანიზატორმა, დიპლომატმა, თავისი დროის პროგრესიულმა მოღვაწემ. ის სათავეში ჩაუდგა უკრაინელი ხალხის არა მარტო განმათავისუფლებელ ომს, არამედ მის შეერთებასაც რუსეთთან, მოძმე რუს ხალხთან გაერთიანებას. ამაშია ხმელნიცკის უდიდესი დამსახურება ისტორიის წინაშე.

ბოგდან ხმელნიცკი 1648 წლის დამდეგს სათავეში ჩაუდგა ზაპაროჟიეს სეჩის ყაზახებს. მან სამხედრო დახმარების კავშირი დასდო ყირიმის ხანთან და უკვე 1648 წლის აპრილში გაილაშქრა შლიახტის ლაშქრის წინააღმდეგ, რომელიც თავმოყრილი იყო დნეპრის სანაპიროებზე. სასტიკ ბრძოლებში შლიახტის ჯარი ზედიზედ მარცხდებოდა. 1648 წლის 6 მაისს*) ბოგდან ხმელნიცკიმ გაანადგურა პოლონეთის ლაშქარი ყვითელ წყლებთან, ხოლო 16 მაისს კორსუნთან ბოლო მოუღო მას. პოლონეთის ჯარების განადგურება იმდენად წარმატებითი იყო, რომ ტყვედ წამოყვანილ იქნენ პოლონეთის ჯარის სარდლები — ნიკოლოზ პოტოცკი და მარტინ კალინოვსკი.

1648 წლის 13 სექტემბერს ბოგდან ხმელნიცკიმ გაანადგურა პოლონეთის არმია პილავცისთან. პოლონელი პანები, რომლებიც ტრაბახობდნენ, აჯანყებულებს მათრახებით გავფანტავთო, პილავციდან ისე გარბოდნენ, რომ ზოგიერთმა მათგანმა პილავციდან ლვოვამდე — 300 კილომეტრამდე მანძილი — ორ დღეღამეში გაირბინა. ყველაზე სწრაფად გარბოდნენ ყოყოჩა შლიახტის მეთაურები. ალექსანდრე კონეცპოლსკის ორი ცხენი დაუვარდა, მან მხოლოდ იმით იხსნა თავი, რომ გლეხის ტანისამოსი გადაიცვა. ოსტროროგმა დაჰკარგა ქუდი და მოსასხამი, ხოლო ზასლავსკიმ თავისი ძალაუფლების ნიშანი — გურზიც კი დაჰკარგა.

ასრულებდა რა უკრაინელი ხალხის ნება-სურვილს, ბოგდან ხმელნიცკი მიისწრაფოდა შეეერთებინა უკრაინა რუსეთთან, რათა ერთად ებრძოლნათ პოლონელი შლიახტის წინააღმდეგ. უკვე კორსუნთან გამარჯვების შემდეგ რადამ დაადგინა ეთხოვნა რუსეთის მთავრობისათვის დახმარება პოლონეთის წინააღმდეგ და შეეერთებინა უკრაინა რუსეთთან. იმავე წლის ივნისში ხმელნიცკიმ ოფიციალური მოლაპარაკება დაიწყო რუსეთის მთავრობასთან. 1649 წლის დამდეგს ხმელნიცკიმ მოსკოვში გაგზავნა სპეციალური საელჩო ჯერ სილუიან მუჟილოვსკის, ხოლო შემდეგ თედორე ვეშნიაკის მეთაურობით. როდესაც 1649 წლის თებერვალში პერეიასლავში პოლონეთის ელჩები ჩავიდნენ, ხმელნიცკიმ უთხრა მათ: „მე თქვენ, ყველა ლიახებს თავდაყირა დაგაყენებთ და ისე გაგთელავთ, რომ ჩემს ფეხქვეშ იქნებით... გავათავისუფლებ ლიახების მონობისაგან რუს ხალხს... ამაში დამეხმარება მთელი ხალხი ლუბლინამდე, კრაკოვამდე... აქ უკრაინაში ერთი თავადი და შლიახტიჩიც აღარ დარჩება“.

ომი გრძელდებოდა. უკრაინელი ხალხის სულისკვეთება შეურიგებელი იყო. თანამედროვენი ამბობენ, რომ შინ დარჩნენ მხოლოდ „ყველაზე მოხუცნი და პატარები“. ხალხი გატაცებული იყო ერთი მისწრაფებით — მთლიანად მოესპო შლიახტა. „უმალ ადამიანთა ენები უკან შეტრიალდება, ვიდრე ჩვენზე შლიახტიჩები იბატონონო“ — ამბობდნენ აჯანყებულნი. ბოგდან ხმელნიცკიმ სთქვა: „შეთანხმება არამც და არამც არ შეიძლება. კედელი კედელს დაეჯახება, ერთი წაიქცევა, მეორე კი დარჩება“.

ბოგდან ხმელნიცკი შემოერტყა პოლონეთის ლაშქარს ზბარაჟთან და ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა იგი, რომ ტრაბახა პანები, როგორც თანამედროვენი ამბობენ, იძულებული იყვნენ „ლეში ეჭამათ, მაგრამ ისიც აღარ კმაროდა და ძაღლები და კატები შეჭამეს“.

5-6 აგვისტოს ბოგდან ხმელნიცკიმ ზბოროვთან გაანადგურა პოლონეთის მთავარი ლაშქარიც მეფე იან კაზიმირის მეთაურობით.

პოლონეთის შლიახტა მოსყიდვის ვერაგულ გზას დაადგა. კერძოდ, მან მოისყიდა ხმელნიცკის მაშინდელი მოკავშირე — ყირიმის ხანი ისლამ-გირეი. მან მიაღწია ხელშეკრულების დადებას შლიახტურ პოლონეთთან. ამ შეთანხმებით სარეესტრო ყაზახების რიცხვი თუმცა 40 ათას კაცამდე აიყვანეს, მაგრამ პოლონელმა პანებმა მიიღეს უკრაინაში დაბრუნების უფლება. მათ დაიწყეს მშრომელი ხალხის მძვინვარედ დასჯა აჯანყებაში მონაწილეობისათვის. შლიახტის გულქვაობამ აჯანყებათა ახალი ტალღა გამოიწვია. კვლავ დაიწყო ომი. 1651 წლის თებერვალში პოლონეთის ჯარებმა დაამარცხეს დანილა ნეჩაი, რომელიც თვითონაც დაიღუპა ბრძოლაში. მაგრამ მარტში ვინიცასთან პოლონეთის ლაშქარი საბოლოოდ გაანადგურეს ყაზახთა რაზმებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ერთერთი მამაცი პოლკოვნიკი ივანე ბოგუნი.

იმავე წლის ზაფხულში უკრაინისაკენ დაიძრა პოლონეთის ახალი ლაშქარი. 1651 წლის ივნისში ბერესტეჩკოსთან ბრძოლის დროს ყირიმის ხანმა კვლავ უღალატა ხმელნიცკის. ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში ხანი გაიქცა თავისი ურდოთი და თან ტყვედ წაიყვანა ბოგდან ხმელნიცკი (ხმელნიცკი მალე განთავისუფლდა ტყვეობიდან).

ამ ღალატის მიზეზით ბერესტეჩკოსთან ყაზახთა ლაშქარი დამარცხდა.

1652 წლის მარტში მოსკოვში ჩავიდა ხმელნიცკის ელჩი ივანე ისკრა, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას უკრაინის რუსეთთან შეერთებისა და პოლონეთის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის შესახებ. ამ დროს პოდოლიეში ბატოგთან თავს იყრიდა შლიახტის დიდი არმია კალინოვსკის მეთაურობით. მასთან შესაერთებლად მიეშურებოდა პოლონეთის ჯარი დნეპრის მარცხენა ნაპირიდან.

ბოგდან ხმელნიცკიმ გადასწყვიტა ნაწილ-ნაწილ დაემარცხებინა შლიახტა. მან მოახდინა ყაზახთა რამდენიმე პოლკის მობილიზაცია და სწრაფი მარშით გაეშურა ბატოგისაკენ. 22 მაისს ხმელნიცკის ცხენოსანი ჯარი მოულოდნელად გამოჩნდა პოლონეთის ბანაკის წინ. ღამით ხმელნიცკის ნაწილებმა ზურგიდან და ფლანგებიდან შემოუარეს მტრის არმიას. დილით კი გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. პოლონეთის ლაშქარი განადგურებულ იქნა. ცოტა ვინმემ მოახერხა გაქცევით თავის შველა. ხმელნიცკის ცხენოსანი ჯარი სდევნიდა გაქცეულებს, ხოლო მახლობელი სოფლების გლეხები სპობდნენ გაქცეულ პანებს. მოსპობილ იქნა პოლონეთის თითქმის მთელი არმია.

პანებმა გადასწყვიტეს შეეკრიბათ ახალი არმია და მიესიათ იგი უკრაინელი ხალხისათვის. 1653 წლის მარტში პოლონეთის დიდი ლაშქარი შესევია დნეპრის მარჯვენა ნაპირს. ის ანადგურებდა სოფლებსა და ქალაქებს, ხოცავდა მთელ მოსახლეობას გამოუკლებლივ. მტაცებელთა თავდასხმის წინააღმდეგ ხმელნიცკიმ გაგზავნა ყაზახები პოლკოვნიკ ივანე ბოგუნის მეთაურობით. სისხლისმღვრელ ბრძოლებში ბოგუნმა, მიუხედავად მტრების რიცხობრივი სიჭარბისა, საბოლოოდ გაანადგურა ისინი მონასტირიშჩესთან (პოდოლიეში).

ომი გრძელდებოდა. 1653 წლის ივნისში ყაზახთა ლაშქარმა ერთხელ კიდევ დაადასტურა სურვილი უკრაინის შეერთებისა რუსეთთან, რათა ერთად შებრძოლებოდნენ საერთო მტერს. 1653 წლის 1 ოქტომბერს საერო კრებამ მოსკოვში გადასწყვიტა შეეერთებინა უკრაინა რუსეთთან. უკრაინაში ჩავიდა სპეციალური საელჩო ბოიარინ ვასილ ბუტურლინის მეთაურობით. 1654 წლის 8 იანვარს პერეიასლავში შესდგა რადა. ამ რადაზე განხორციელდა გადაწყვეტილება უკრაინის შეერთებისა რუსეთთან, მოძმე რუს ხალხთან. ამ ამბის შესახებ მაშინდელმა უკრაინელმა მემატიანემ „სამოვიდეცმა“ (რომან რაკუშკა-რომანოვსკიმ) ჩასწერა, რომ „მთელ უკრაინაში მთელმა ხალხმა ეს ხალისით შეასრულა“ და ამ შეერთებით „ხალხში დიდი სიხარული შეიქმნა“.

პოლონეთთან ომი გრძელდებოდა 1686 წლამდე. ამ ომში შლიახტური პოლონეთის ჯარმა განიცადა მთელი რიგი გამანადგურებელი დამარცხებანი რუსეთ-უკრაინის ლაშქრისაგან. ასე, მაგალითად, 1654 წელს რუსეთ-უკრაინის ჯარმა ბრძოლით დაიბრუნა პოლონეთისაგან სმოლენსკი და სმოლენშჩინა. შემდგომ წელს ჩვენმა ჯარებმა რამდენჯერმე დაამარცხეს პოლონეთის ჯარები, კერძოდ, გალიციაში გოროდოკთან. ამ ომში უკრაინელმა ხალხმა ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ ცხადჰყო, რომ იგი იბრძოლებდა ბოლომდე, რათა კვლავ არ ჩავარდნილიყო პოლონეთის შლიახტის მონობაში. მაგალითად, 1654 წლის დამლევს პოლონეთის ჯარმა პოდოლიეში ხელთ იგდო ქალ. ბუშა, რომლის მცხოვრებნი მამაცურად იცავდნენ თავს. როდესაც პოლონეთის ჯარი ბუშაში შეიჭრა, მოსახლეობა, ცოცხლად რომ არ ჩავარდნილიყო ტყვედ, იარაღზე ეგებოდა მტერს, ხოცავდა ერთმანეთს, ცეცხლში ცვიოდა.

პოლონეთის არმიისა და პანების პოლონეთის მოკავშირის — ყირიმის ხანის მრავალრიცხოვანი ლაშქრობანი უკრაინის ხელახლა დაპყრობის მიზნით ნადგურდება რუსეთ-უკრაინის ჯარის შეუპოვრობითა და ვაჟკაცობით, ნადგურდება უკრაინელი ხალხის აღმაველობის ახალი ტალღით. ასე, მაგალითად, 1663-1664 წ. პოლონეთის დიდი არმია დაიძრა უკრაინის დასაპყრობად, მიაღწია ნოვგოროდ-სევერსკამდე, მაგრამ განადგურებულ იქნა რუსეთ-უკრაინის ლაშქრის მიერ და იძულებული გახდა პანიკით მოცული გაქცეულიყო უკრაინიდან.

ხოლო უკრაინის იმ ადგილებში, რომლებიც შლიახტური პოლონეთის უღელქვეშ ექცევა, პოლონეთის წინააღმდეგ აჯანყებანი არ სცხრება. განსაკუთრებით დიდი აჯანყება მოხდა უკრაინაში დნეპრის მარჯვენა ნაპირზე 1664 წელს.

მოღალატეების — ყაზახთა მმართველი წრის ნაწილის ცდები დაებრუნებინათ უკრაინა შლიახტური პოლონეთის უღელქვეშ, განწირული იყო მარცხისათვის. უკრაინელი ხალხი აჯანყებას აწყობს და იბრძვის მათ წინააღმდეგ. მაგალითად, როდესაც ყაზახთა უმაღლესი მმართველი წრის ნაწილმა გეტმან ი. ვიგოვსკის მეთაურობით 1658 წელს გადიჩის შეთანხმებით უკრაინა შლიახტურ პოლონეთს ჩაუგდო ხელში, — უკვე შემდგომ 1659 წელს ხალხის აჯანყებამ ვიგოვსკი დაამხო, და უკრაინა კვლავ შეუერთდა რუსეთს.

რუსეთთან უკრაინის შეერთებამ განამტკიცა ორივე მოძმე ხალხის კავშირი. საერთო ძალღონით ორივე ხალხი რუსეთის სხვა ხალხებთან ერთად იბრძოდა თავისი ექსპლოატატორების — მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. ამ ხალხების საერთო ძალებით ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დამხობილ იქნა მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება, შეიქმნა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო.

საბჭოთა კავშირის მეგობრულ ძმურ ოჯახში აყვავებული საბჭოთა უკრაინის ხალხს არასოდეს, ერთი წუთითაც არ დავიწყნია თავისი ძმები დასავლეთ უკრაინაში, რომლებიც შლიახტური პოლონეთის უღელქვეშ გმინავდნენ.

დაჰკრა დიდიხნის ნანატრმა ჟამმა, გადაიშალა ახალი ისტორიული ფურცელი. თავისუფლდებიან სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით ჩვენი თვისტომი ძმები დასავლეთ უკრაინაში. მთავრდება დასავლეთ უკრაინის განაწამები ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა. წინათ დაბეჩავებულ მხარეში თავისუფლების, ძმური სიყვარულისა და ბედნიერების კაშკაშა მზე ამოდის.

სიყვარული და სიხარული, რასაც დასავლეთ უკრაინის მშრომელნი გამოსთქვამენ მუშურ-გლეხური წითელი არმიისადმი, რომელსაც განთავისუფლება მიაქვს მათთვის, არის ნამდვილი სიყვარული ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლოსადმი, მისი დიადი ხალხისადმი და ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი**.

პროფესორი ორდენოსანი
ს. ბელოუსოვი.
პროფესორი ნ. პეტროვსკი.
პროფესორი ა. ოგლობლინი.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი.

---

*) თარიღები ყველგან ძველი სტილითაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

სააგიტაციო მუშაობა ქუთაისის რკინიგზის კვანძში

(ქუთაისი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან).

ქუთაისის რკინიგზის კვანძის პარტიულმა ორგანიზაციამ საგიტაციო მუშაობის დაყენების მხრივ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სავსებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. ეს განსაკუთრებით ითქმის რკინიგზის ქუთაისის სადგურის პარტბიუროს მიმართ.

26 აგვისტოს სადგურის პარტბიუროსთან მოეწყო აგიტკოლექტივი, რომელიც 19 აგიტატორს და გაზეთის 13 წამკითხველ - მესაუბრეს აერთიანებს. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელობა პარტბიუროს მდივანს ამხ. გ. დობორჯგინიძეს დაეკისრა. მოსალოდნელი იყო, რომ იგი სანიმუშოდ მოაწყობდა საგიტაციო მუშაობას, მაგრამ ასე არ მოხდა. ამხ. დობორჯგინიძემ, როგორც თვითონ აცხადებს, მხოლოდ ორჯერ ჩაატარა აგიტკოლექტივის სემინარი. მაშინაც იგი აგიტატორებს ყველაფერზე ესაუბრა, მაგრამ არა საბჭოების მომავალ არჩევნებზე. ამის შესახებ აგიტსემინარზე საერთოდ ჯერ არაფერი თქმულა. აგიტატორები მოკლებული არიან დახმარებასა და ხელმძღვანელობას, მათთვის არ იმართება კვალიფიციური კონსულტაციები, მათ არ აძლევენ მეთოდურ მითითებებს და სხვ. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას, რომ წამკითხველ-მესაუბრე ამხ. ე. მდინარაძე (ბარგშესანახი განყოფილება) არა თუ სხვას არ ესაუბრება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების შესახებ, არამედ თვითონაც ვერ ერკვევა არჩევნების საკითხებში.

პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. დობორჯგინიძე აცხადებს, რომ საგიტაციო მუშაობა სწარმოებს სადგურ ქუთაისის ყველა მუშა მოსამსახურეთა შორის, რომ არ არის დარჩენილი არცერთი მშრომელი, რომელიც საარჩევნო კანონს არ სწავლობდეს. შემოწმებამ კი სულ სხვა სურათი გვიჩვენა, ბევრი ამომრჩეველი ვერ ერკვევა თავის უფლება-მოვალეობაში, რაც აგიტატორების ცუდი მუშაობით უნდა აიხსნას.

— ხანდახან მიტინგებსა და საერთო კრებებზე მიგვიწვევენ ხოლმე, ამის შემდეგ კი გვივიწყებენ, არავითარ მუშაობას არ ატარებენ ჩვენთან, — აცხადებენ ამომრჩევლები ღ. ჟღენტი და ი. სიხარულიძე.

ასეთსავე საყვედურს გამოსთქვამს მემუხრუჭეთა მოსაცდელი ბინის დამლაგებელი ქალი ამხ. პარასკევა ბანიცკაია. იგი გულისტკივილით გვიამბობს, რომ მასთან სასაუბროდ არავინ მიდის, რომ მას დღემდე არავინ გააგებინა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნების შესახებ. გ. როდინი, ა. მარტიმიანოვი, მ. ბოგდანოვა და სხვ. ჩივიან, რომ მათ რუსულ ენაზე არა აქვთ არჩევნების დებულება. რკინიგზის სადგურის კლუბი და სამკითხველო ამ მხრივ სუსტად მუშაობენ. რუსულ ენაზე დაბეჭდილი დებულება სამკითხველოს მხოლოდ ერთი ეგზემპლარი აღმოაჩნდა, სსრ კავშირის კონსტიტუცია კი სრულებით არა აქვთ. სამკითხველოს გამგემ ამხ. ქ. ცირეკიძემ გვაჩვენა გეგმა, რომელიც საბჭოების არჩევნების კუთხის მოწყობას ითვალისწინებს. კარგი ინიციატივაა, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა არავის აგონდება. სადგურის ვერცერთ განყოფილებაში ვერ შეხვდებით საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებულ ლოზუნგებსა და პლაკატებს. პირველადს პარტიულ, კომკავშირულ და პროფესიულ ორგანიზაციებს ჯერ არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამთ, რათა საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით მოეწყოთ ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვა, ჩაეტარებინათ საუბრები სტალინურ კონსტიტუციაზე, საარჩევნო სისტემის შესახებ ჩვენსა და კაპიტალისტურ ქვეყნებში.

პარტბიურომ დაუყოვნებლივ უნდა შეისწავლოს აგიტატორების მუშაობა და სადგურის ყველა უბანზე ფართოდ გაშალოს ბოლშევიკური აგიტაცია.

გ. ყურაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის პლენუმი

(ლანჩხუთი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის პლენუმი, რომელმაც პირველ საკითხად მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ბუაძის მოხსენება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღო 15 ამხანაგმა. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ყურადღება გაამახვილეს საბჭოების მომავალ არჩევნებში მასობრივ-საგიტაციო მუშაობის უკეთ გაშლაზე.

პლენუმმა მეორე საკითხად მოისმინა ლესის საკოლმეურნეო, სუფსის ტერიტორიული და ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ამხ. ჩხარტიშვილის, ანდღულაძის და ჩხაიძის მოხსენებანი პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ პარტბიუროები სუსტად ეხმარებიან პარტწევრობის კანდიდატებს, არ აძლევენ მათ დავალებებს და არ აწყობენ პარტკანდიდატთა თათბირებს. რაიონში პარტიის წევრობის 43 კანდიდატი სტაჟგადაცილებულია, მაგრამ პარტორგანიზაციები აჭიანურებენ პარტიის წევრებად მათს გადაყვანას.

ორივე საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ა. სარჯველაძე

ალბულახის პარტრაიკომის პლენუმი

თეთრი წყარო (საქდესი). 5 ოქტომბერს შესდგა პარტიის ალბულახის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შესრულება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების შესახებ. მოხსენება გააკეთა რაიონული მიწგანის გამგემ ამხ. ოვანოვმა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 18 ამხანაგმა.

აღნიშნული დადგენილების შემდეგ რაიონში მოეწყო 8 ახალი ფერმა. ამჟამად რაიონის 93 კოლმეურნეობაში 117 მეცხოველეობის ფერმაა, მათ შორის არის 46 სარძე-სასაქონლო, 9 — მეღორეობისა და 15 — მეცხვარეობის ფერმა. მაგრამ რაიონში არის 8 კოლმეურნეობა, რომელთაც არცერთი ფერმა არ მოეპოვებათ.

პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. კოჭლაძემ სასტიკად გააკრიტიკა მუშაობა რაიმიწგანისა, რომელიც ჯერ კიდევ სუსტად ეხმარება კოლმეურნეობებს მეცხოველეობის ფერმების მოწყობაში.

პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მეცხოველეობის განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად.

ვალერი ბრიუსოვი

(გარდაცვალებიდან 15 წლისთავის გამო)

ჯერ კიდევ სავსებით გარკვეული არ არის ის როლი, რომელიც სიმბოლიზმმა შეასრულა რუსულ ლიტერატურაში. მისი ეპოქა მხოლოდ ახლა ხდება მეცნიერული შესწავლის საგნად. დაინტერესებულ მკითხველს დღესდღეობით შეუძლია მხოლოდ გაარკვიოს, რომ სიმბოლიზმი სრულად ასახავდა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტის სულიერ განწყობას. ის ძვრები, რაც საზოგადოების ამ ფენამ განიცადა, ნათლად არკვევენ სიმბოლიზმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სახეს.

სიმბოლიზმი გაჩნდა XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე, როცა შავმა რეაქციამ თავისი განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია და როცა რუსეთის მშრომელ მასებში უაღრესად მომწიფდა რევოლუციური აღტყინება. ორმა რევოლუციამ და განსაკუთრებით ოქტომბრის დიადმა სოციალისტურმა რევოლუციამ გამოააშკარავა ამ მიმდინარეობის ბურჟუაზიული ბუნება. რევოლუციის მეორე დღესვე სიმბოლიზმის მეთაურთა ერთი ნაწილი მერეჟკოვსკი-გიპიუსის მეთაურობით მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას მტრულად შეხვდა და ემიგრაციაში ამოჰყო თავი. მეორე ნაწილმა (ანდრეი ბელი და სხვ.) ოქტომბრის რევოლუცია მიიღო, როგორც ხალხის სოციალური და პოლიტიკური განთავისუფლების ფაქტი, მაგრამ ძირითადად მაინც მტრულად იყო განწყობილი პროლეტარიატის რევოლუციური მსოფლმხედველობის მიმართ. მესამე ნაწილმა კი, რომელსაც ეკუთვნოდნენ ვალერი ბრიუსოვი და ალექსანდრე ბლოკი, არამც თუ უყოყმანოდ მიიღო რევოლუცია, არამედ აღტაცებით შეეგება მას და რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს პირველი დღიდანვე გვერდში ამოუდგა.

სიმბოლიზმის მეთაურთა შორის ვალერი ბრიუსოვი ყველაზე მკაფიო ლიტერატურული ფიგურაა. იგი გარს იკრებდა ინტელიგენციის ამ ნაწილს და ერთად ამუშავებდა, მიუხედავად მისი იდეური სიჭრელისა. მისი ხელმძღვანელობით რუსულ ლიტერატურაში დამკვიდრდა ლექსის მაღალი კულტურა. მან აღადგინა ლირიკული პოეზიის ის წმინდა ძაფი, რომელიც თავის დროზე ტიუტჩევმა და ფეტმა დაიწყეს და რომელიც 80-იანი წლების პოეტებმა გასწყვიტეს და უიდეობამდე დაიყვანეს. ვ. ბრიუსოვი ლექსის შეუდარებელი ოსტატი იყო. სიმბოლიზმი ზღუდავდა მის პოეტურ შესაძლებლობას. სიკვდილის წინ დაწერილ ერთიერთ ლექსში ის ნაღვლიანად აღიარებდა:

„და იზრდებოდნენ ტყვეობაში
ჩემი ლექსები“.

ეს სრული ჭეშმარიტება იყო. მართლაც ვ. ბრიუსოვის შემოქმედებითი გზა უაღრესად რთული და ნარ-ეკლით მოფენილია. 15 წლის ახალგაზრდა აჯანყდა იგი მეშჩანური პოეზიის წინააღმდეგ და თავისი გაბედული ლექსით

„ჰოი, დამალე მკრთალი ფეხები!“

შეშფოთება შეიტანა ლიტერატურულ სალონებში, სადაც ნადსონი და აპუხტინი იყვნენ პატივდებულნი.

ახალგაზრდა პოეტმა სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარული გამოამჟღავნა. ის დარწმუნებული იყო, რომ ადამიანს შეუძლია თავის ცხოვრებაში სიხარული მოსძებნოს და ცხოვრება ბედნიერებად აქციოს. ეს რწმენა განასხვავებდა მას თავისი თანამოკალმეებისაგან და ამიტომ რუს სიმბოლისტთა შორის ის, როგორც ნამდვილი ოპტიმისტი, ბეჯითად მიისწრაფოდა წინ რეალიზმისაკენ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაწერილ ერთიერთ ლექსში ბრიუსოვი ამბობდა:

„მე ვიზრდებოდი იმ წყეულ დროში,
როცა ხალხს ტანჯვა გულით ჰხდებოდა,
მსოფლიო სდუმდა, და სმენა-მოშლილს
კაცის ყურს ლექსი არ სჭირდებოდა...
მაგრამ უფსკრულში მე კანტი-კუნტად
შორეულ გუგუნს გავარდნილ მეხის —
ვისმენდი,—რკინის ფოლთა ბაკუნთან
ხმას ათასწლოვან ყინულთა ტეხვის“.

შავი რეაქციის მძვინვარე წლებში ბრიუსოვი დეკადენტიზმის ტყვეობაში იყო. მძაფრი ინდივიდუალიზმი და მისტიციზმი იყო დამახასიათებელი მისი პოეზიისა. მაგრამ ბრიუსოვმა იგრძნო, რომ რეაქციის პირობებში ცხოვრება ყველასათვის ერთნაირად სასიხარულო არ შეიძლებოდა ყოფილიყო. აქედან დაიწყო მოქალაქეობრივი იდეების აღორძინება მის პოეზიაში. ქალაქი, სადაც ბარბაროსულ ექსპლოატაციას განიცდის პროლეტარიატი, გახდა მისი პოეზიის საგანი. 1903 წელს მან დაწერა ლექსი „ხანჯალი“, რომელშიაც ამბობდა:

„როცა ჰქუხს ქარიშხალი მყუდროების
მშობელი
თავის ხალხთან ყოველთვის პოეტია
ხმობილი
და სიმღერაც ქარიშხლის მუდამ არის
დობილი“.

1905 წელს ის აღტაცებით შეხვდა. საუცხოო პოეტური გზნებით შეასხა მან ხოტბა რევოლუციას, მოუწოდებდა „ცეცხლოვანი დღეების შვილებს“ აღმდგარიყვნენ მჩვლეფილთა და მტარვალთა წინააღმდეგ. მას სწამდა, რომ რევოლუცია დაამხობს ძველ კულტურას და კაცობრიობის თვალწინ ახალ ჰორიზონტებს გამოაჩენს.

მაგრამ რევოლუცია დამარცხდა. ბრიუსოვის შემოქმედება კაეშანმა მოიცვა. მალე იგი პატრიოტულმა განწყობამ შესცვალა, რომელიც პირველმა მსოფლიო ომმა პოეტს კიდევ უფრო განუმტკიცა. მაგრამ ბრიუსოვმა მალე განსჭვრიტა ამ იმპერიალისტური სისხლისღვრის ნამდვილი მიზანი. ოქტომბრის წინაპერიოდში ის გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადების — ლენინისა და სტალინის მუშაობას და დიადი სოციალისტური რევოლუციის პირველი დღიდანვე რევოლუციის მებრძოლთა რიგებში ჩადგა. ვ. ბრიუსოვი კ. პ. (ბ) წევრი გახდა.

„1917 წლით დასრულდა ერთი პერიოდი როგორც ჩემი ცხოვრებისა, ისე ჩემი ლიტერატურული მუშაობისა..., — სწერდა ვ. ბრიუსოვი, — ევროპის ომმა და ოქტომბრის რევოლუციამ მაიძულეს ძირეულად გადამესინჯა ჩემი მსოფლმხედველობა. 1917 წლის გადატრიალება იყო უაღრესად ღრმა გადატრიალება პირადად ჩემში“. ამ „გადატრიალების“ შემდეგ ვ. ბრიუსოვის ლექსებში უფრო მკვეთრად გამოსჭვივის მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობები, ახალი ცხოვრების სიყვარული და ჯანსაღი პატრიოტიზმი. ის იბრძვის რევოლუციის სასარგებლოდ არა მარტო მისდამი მტრულად განწყობილ ლიტერატორთა წინააღმდეგ, არამედ მოწუწუნე ინტელიგენტების წინააღმდეგაც, მოუწოდებს ინტელიგენციას დროზე ამოუდგეს გვერდში მუშათა კლასსა და ღარიბ გლეხობას.

ვ. ბრიუსოვის ლიტერატურული საქმიანობა დიდად ნაყოფიერი იყო. ლექსის შესანიშნავ ოსტატთან ერთად ის იყო შეუდარებელი მთარგმნელი-პოეტი. მან შესძინა რუსულ ლიტერატურას ვერლენის, ბოდლერის, რემბოს, ვერჰარნის, პოეს და მალარმეს ნიმუშთა მაღალკვალიფიციური თარგმანები. მანვე გააცნო რუს მკითხველს სომხური პოეზიის ნიმუშები, რომლებიც ცალკე კრებულად გამოვიდა 1915 წელს სქელტანიან **«Поэзия Армении»**-ს სახით.

ბრიუსოვი იყო დიდი მეცნიერი და მკვლევარი. მან აღუდგინა რუს მკითხველს უმართებულოდ მივიწყებული ტიუტჩევი, ბარატინსკი და სხვ. მან დაუბრუნა რუს ხალხს ა. პუშკინის „გავრილიადა“ და სხვა ნაწერები. მას ეკუთვნის შესანიშნავი შრომები პოეტიკის დარგში. მისი თეორიული შეხედულებანი დღესაც არ არიან მოკლებულნი ცხოველ ინტერესს.

ვ. ბრიუსოვი იყო აგრეთვე დიდი კრიტიკოსი. მან აღზარდა ათეული პოეტები, რომლებიც დღეს საბჭოთა ლიტერატურას ამშვენებენ. მისი კრიტიკული წერილები გამოირჩეოდნენ ღრმა პრინციპულობით, გულწრფელობითა და პირდაპირობით.

ბრიუსოვის ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდი და მრავალფეროვანია და შემდგომ ღრმა შესწავლას საჭიროებს. ძვირფას ლიტერატურულ განძს წარმოადგენენ მისი კრიტიკული წერილებიც. ნაკლებად შესწავლილი აგრეთვე ბრიუსოვის პროზა.

გასწყვიტა რა კავშირი ძველ სამყაროსთან, ვ. ბრიუსოვი მტკიცედ მიაბიჯებდა წინ ახალ გზაზე, მაგრამ სიკვდილმა შესწყვიტა მისი წინსვლა. 15 წლის წინათ იგი დაიტირეს საბჭოთა მშრომელებმა, რომელთა გულში მან ხელთუქმნელი ძეგლი აღიმართა.

მისი ხსოვნა უკვდავყოფილია საბჭოთა კავშირის ბედნიერ ხალხთა სტალინურ ოჯახში.

ა. ბარათელი

იურიდიული განათლება სასამართლოს ყველა მუშაკს

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატმა კოლეგიის 1-ლი ოქტომბრის სხდომაზე განიხილა საკითხი სასამართლოს მუშაკთა იურიდიული მომზადების შესახებ. სახალხო მოსამართლეთა და საოლქო და სამხარეო სასამართლოების წევრთა შორის მეტად მცირე რაოდენობით მოიპოვებიან ისეთები, რომელთაც უმაღლესი იურიდიული განათლება ჰქონდეთ. ამასთანავე გამოირკვა, რომ სასამართლოს მუშაკთა შორის ბევრია ისეთები, რომელთაც არავითარი იურიდიული მომზადება არ მიუღიათ.

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დასახა სასამართლოს მუშაკების მომზადებისა და გადამზადების ფართო პროგრამა. დასახულია, რომ უკვე 1940 წელს იურიდიული განათლებისა და მომზადების მისაღებად უკლებლივ სასამართლოს ყველა მუშაკი იქნება ჩაბმული უმაღლეს სასწავლებლებში, სამართლის სკოლებში, მოკლევადიან კურსებზე, დაუსწრებელი სწავლების სისტემაში და სხვ. 1940 წლის დამლევისათვის საბჭოთა კავშირში არ დარჩება არც ერთი მოსამართლე, რომელიც თავის კვალიფიკაციას არ აამაღლებდეს, ხოლო 1942 წლის დამლევისათვის სასამართლოს ყველა მუშაკის ერთ მეოთხედ ნაწილს ექნება უმაღლესი იურიდიული განათლება, ყველა დანარჩენებს კი — საშუალო იურიდიული განათლება.

(საკდესი).

ბ. ვ. შჩუკინი

საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილი ოსტატი

შესწყდა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ბორის ვასილის-ძე შჩუკინის შესანიშნავი შემოქმედებითი სიცოცხლე. მან განვლო ცხოვრებას ხანმოკლე, მაგრამ განსაკუთრებით ნათელი გზა და საპატიო ადგილი დაიკავა საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილ ოსტატთა შორის.



ბ. ვ. შჩუკინი დაიბადა 1894 წელს მოსკოვში. მას ჯერ კიდევ სიყმაწვილეში მხურვალედ შეუყვარდა თეატრი. მას მუდამ იზიდავდნენ უდიდესი რეალისტური თეატრები — სამხატვრო და მცირე თეატრები. მათი სპექტაკლები, რომლებსაც ახალგაზრდა შჩუკინი ყოველი შესაძლებლობის დროს ესწრებოდა, მისთვის აქტიორული ოსტატობის პირველი სკოლა იყო.

ისე, როგორც მისი ტოლების უმრავლესობამ, შჩუკინმა განვლო იმპერიალისტური ომის ქარცეცხლი და სიხარულით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. ამ დროისათვის ბორის ვასილის-ძეს უკვე სავსებით გარკვეულად ჩაესახა სცენაზე შესვლის სურვილი. არმიიდან დაბრუნების შემდეგ იგი შევიდა რკინიგზის კლუბთან არსებულ დრამატიულ წრეში და ენერგიულად დაეუფლა საყვარელ ხელოვნებას. სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში შჩუკინმა 100-ზე მეტი როლი შეასრულა.

სამოქალაქო ომში დამწყები არტისტი წითელი არმიის მებრძოლი ხდება. 1919 წელს იგი ჩამოდის მოსკოვში სამხედრო ინსტრუქტორთა კურსებზე. ბორის ვასილის-ძე, რომლის მუდმივ სანუკვარ ოცნებას აქტიორად გახდომა შეადგენდა, საღამოს საათებში მეცადინეობს ახალგაზრდა სტუდიაში, რომელსაც ე. ბ. ვახტანგოვი ხელმძღვანელობდა. სხვა სტუდიელებთან ერთად შჩუკინი მოვიდა ვახტანგოვის თეატრში. ამ თეატრთან განუყრელად არის დაკავშირებული მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება.

ჩეხოვის პიესა „ქორწილში“ ბერძენ დიმბის უკვე პირველი როლი შჩუკინმა იშვიათი ოსტატობით შეასრულა. ამან ერთბაშად მოუხვეჭა მას ისეთი აქტიორის სახელი, რომელსაც შესწევს უნარი სცენიური სახით განახორციელოს ცხოვრების სიმართლე.

დიდი წარმატება არგუნა შჩუკინს სპექტაკლმა „ეგორ ბულიჩევი და სხვები“, რომელშიც იგი მთავარ როლს ასრულებდა. სცენის გამოჩენილმა ოსტატმა ღრმად გაიგო დიდი მწერლის ა. მ. გორკის შემოქმედებითი აზრი. მან ამ სპექტაკლში შექმნა არაჩვეულებრივი ძლიერი და მკვეთრი სახე ადამიანისა დიდი და რთული განცდებით, მომაკვდინებელ სენთან მებრძოლი ადამიანისა, რომელსაც არ უნდა სიკვდილი, მაგრამ მშვენივრად ჰგრძნობს არა მარტო თავისი პირადი სიკვდილის, არამედ თავისი კლასის, კაპიტალისტთა კლასის, სიკვდილის აუცილებლობას.

შჩუკინის ოცნება — ეჩვენებინა „ჩვენი ეპოქის ადამიანთა მთელი სიდიადე“ — განხორციელდა. მას წილად ხვდა საპატიო და პასუხსაგები შემოქმედებითი ამოცანა — საბჭოთა ხელოვნების ოსტატებს შორის პირველს შექმნა სცენაზე და კინოში დიდი ლენინის სახე. დიდ ხანს და შეუპოვრად მუშაობდა ამ სახეზე მხატვარი, რომელიც თავის თავს დიდ მოთხოვნებს უყენებდა.

ბ. ვ. შჩუკინის პირველმა გამოსვლამ სპექტაკლში „თოფიანი კაცი“ დიდად ააღელვა მაყურებლები. დარბაზში მყოფ ადამიანებს, როდესაც ისინი სცენას უყურებდნენ, საშუალება ჰქონდათ მკაფიოდ და მართლად დაენახათ ვ. ი. ლენინის სახე, მხატვარის მიერ შექმნილი. ეს აუდიტორია უსაზღვროდ გაფართოვდა, როდესაც ეკრანზე გამოვიდა ფილმი „ლენინი ოქტომბერში“. ათეული მილიონობით მაყურებელმა ნახა ვლადიმერ ილიას-ძის საყვარელი სახე.

მთავრობამ დიდად დააფასა ბ. ვ. შჩუკინის შრომა და იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვა. რამდენიმე წლის მანძილზე შჩუკინს ერთი წუთითაც არ მიუტოვებია მუშაობა ამ დიად სახეზე. მისი შემოქმედებითი შრომის შესანიშნავი შედეგები საბჭოთა ხალხმა ნახა ფილმში „ლენინი 1918 წელს“. ვ. ი. ლენინის სახე, შჩუკინის მიერ შექმნილი, უდიდესი ძალის სახე, უძვირფასეს განძს წარმოადგენს სოციალისტური ხელოვნების საგანძურში. ფილმს „ლენინი ოქტომბერში“ და „ლენინი 1918 წელს“ ახლა მღელვარებით და თვალზე სიხარულის ცრემლებით უყურებენ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებული ხალხები.

სამი წლის წინათ მთავრობამ ბ. ვ. შჩუკინს მიანიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის მაღალი სახელწოდება.

საბჭოთა ხალხში დიდ ხანს დარჩება ხსოვნა ბორის ვასილის-ძე შჩუკინისა, თავისი საყვარელი, ჭეშმარიტად სახალხო არტისტისა, რომელმაც მთელი თავისი მძლავრი ტალანტი დიად სამშობლოს სამსახურს მოანდომა. (საკდესი).

არტისტ შჩუკინის ხსოვნისათვის

საბჭოთა თეატრის დიდი დამსახურება ისაა, რომ საუკეთესო მისი არტისტები წარსულის ჩარჩოებში კი არ ჩაიკეტნენ, არამედ მთელი მგზნებარებით ჩაებნენ ახალ სახეთა—სოციალისტური რევოლუციის გმირების სახეთა შექმნაში.

ეს იოლი ამოცანა როდია. განსაკუთრებით ძნელი იყო არტისტისათვის ლენინის განსახიერება. შჩუკინმა ხელი მოჰკიდა ამ უძნელესსა და ამავე დროს უკეთილშობილეს ამოცანას. ხელოვნების ისტორიაში მე არ მეგულება ამ როლზე უფრო მნიშვნელოვანი როლი, ვინაიდან არც ცხოვრებასა და არც თეატრს ჯერ კიდევ არ მოუცია ლენინისა და სტალინის სხვა ასეთი ტოლმნიშვნელი როლი ხალხთა ცხოვრებაში. შჩუკინმა მოგვცა ლენინის სახე, რომელსაც ბევრი, ვისაც სიცოცხლეში ლენინი არ უნახავს, ისე განიცდის, როგორც ცოცხალს. გაივლის საუკუნეები, ხოლო ლენინის სახე, არტისტ შჩუკინის მიერ განსახიერებული, წინანდებურად ააღელვებს ეკრანზე ახალი ეპოქის მილიონობით ადამიანებს. ისინი სიყვარულით ადევნებენ თვალს ლენინის მოძრაობას ეკრანზე და მადლობით მოიხსენიებენ მხატვარ არტისტ შჩუკინს, რომელმაც შესძლო კაცობრიობის ამ გენიოსის განსახიერება.

ემ. იაროსლავსკი.

იგი მუდამ ჩვენთან იქნება

6 ოქტომბერს, ღამით, 45 წლის ასაკში უეცრად გარდაიცვალა საბჭოთა თეატრის შესანიშნავი ოსტატი, გენიალური რუსი მსახიობი, გამოჩენილი რეჟისორი და პედაგოგი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ორდენოსანი ბორის ვასილის-ძე **შჩუკინი**.

უდიდეს მწუხარებას განიცდის ევგ. ვახტანგოვის სახელობის თეატრის კოლექტივი და ყველა ის, ვინც ბორის ვასილის-ძეს იცნობდა, ვისაც მასთან უმუშავნია.

თეატრის დაარსებიდანვე და უკანასკნელ დღემდე ბორის ვასილის-ძემ, დიდი სოციალისტური რევოლუციით შთაგონებულმა და გამობრძმედილმა, უდიდესი ენერგიითა და ხელოვნების უაღრესად ღრმა საიდუმლოებათა საუცხოო განჭვრეტით შექმნა იმ დაუვიწყარ სახეთა გალერია, რომლებიც საბჭოთა ხელოვნების ოქროს ფონდში შევიდნენ.

ჩვენს თვალუწვდენ საბჭოთა კავშირში არ არის არცერთი ისეთი ადგილი, ისეთი სულ დაშორებული კუთხეც კი, სადაც ბ. ვ. შჩუკინს არ იცნობდნენ, სადაც აღტაცებით არ იხრიდნენ ქედს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდებული და მონუმენტური სახის წინაშე, რომელიც პირველად შექმნა ბორის ვასილის-ძემ თეატრსა და კინოში.

ე. ბ. ვახტანგოვის საუკეთესო და უახლოესი თანამებრძოლი, იგი იყო და დარჩება არტისტულობის ნიმუში რუს აქტიორთა მომავალი თაობებისათვის. ისტორიის ფურცლებში მისი სახელი ჩაიწერება თეატრის დიდ მხატვართა სახელების გვერდით.

ბორის ვასილის-ძე იყო სცენის შთაგონებული მასწავლებელი, საბჭოთა თეატრის უპატიოსნესი რაინდი, რომელმაც ყველა თავისი სამუშაო ცხოვრებისა და ხალხისადმი მგზნებარე და გატაცებული სიყვარულით გამსჭვალა.

იგი თეატრში მხურვალედ და გატაცებით მუშაობდა. მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი ძალები ხელოვნებას შესწირა. იგი თავდადებით ახმარებდა სამშობლოს მთელ თავის სიცოცხლეს.

შემოქმედებითი მგზნებარება — აი ჩვენი ძვირფასი ამხანაგი შჩუკინი, ჭეშმარიტი შთაგონება — აი მთელი კოლექტივის დაუვიწყარი მეგობარი შჩუკინი.

სიმართლე, სიღრმე, მომთხოვნელობა თავის თავისადმი — აი ჩვენი შჩუკინი.

იგი მუდამ ჩვენთან იქნება.

ევგ. ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი

გულმოდგინეთ ვზარდოთ პარტიის რიგები

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც აღზარდა და ბრძოლებში გამოაწრთო დიდი **სტალინის** ღირსეულმა მოწაფემ ამხანაგმა ლავრენტი **ბერიამ**, დიდი მუშაობა ჩაატარეს ჩვენი პარტიის რიგების ზრდისა და განმტკიცებისათვის. პარტიაში მიღების განახლებიდან, ე. ი. 1936 წლის ნოემბრიდან დღემდე საქ. კ. პ. (ბ) რიგები ერთი-ორად გაიზარდა. პარტიის რიგების ზრდა მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანების—სტახანოველი მუშების, კოლმეურნეების, კოლმეურნე ქალების, აგრეთვე მოწინავე ინტელიგენტების — აგრონომების, მასწავლებლების, ექიმების და სხვ. ხარჯზე.

პარტიის რიგების ზრდისა და განმტკიცებისათვის გაწეული სერიოზული მუშაობა შეიძლება დავინახოთ თუნდაც ახალციხის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მაგალითზე. პარტიაში მიღების განახლებიდან დღემდე ახალციხის რაიონში მიღებულია საქ. კ. პ. (ბ) რიგებში 326 კაცი, მათ შორის პარტწევრობის კანდიდატად — 221 ამხანაგი.

განსაკუთრებით შესამჩნევად გაიზარდა ახალციხის რაიონული პარტიული ორგანიზაცია XVIII პარტიული ყრილობის შემდეგ. მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან პირველ სექტემბრამდე რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ რიგებში მიიღეს 119 ამხანაგი. ესენი არიან რაიონის წარჩინებული ადამიანები, სოფლის სოციალისტური მეურნეობის მოწინავენი, კულტურული ფრონტის ენერგიული მუშაკნი, რომელთაც თავდადებული შრომით დაამტკიცეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისადმი.

ახალციხის პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზული მუშაობა ჩაატარა აგრეთვე პარტიაში ახლად მიღებულთა პოლიტიკური აღზრდისათვის. მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებთაც ადგილი აქვს მუშაობაში, კერძოდ პარტიაში მიღების მოწესრიგებისა და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის საქმეში.

მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული პარტიაში მიღება, ადგილი აქვს წესდების დარღვევას, პარტიაში ხელაღებით მიღების ფაქტებს და ა. შ. ამის შედეგად ზოგჯერ შემთხვევითი პირები ახერხებენ პარტიის რიგებში შეძრომას.

პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები ხშირად სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პარტიის წესდების ზუსტად დაცვას. ახალციხის რაიალმასკომის პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო კოვალენკო, რომლის რეკომენდატორები ერთ წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში იცნობდნენ მას და წარმოდგენა არ ჰქონდათ მის მუშაობაზე. წესდების დარღვევის ეს ფაქტი ვერც საქ. კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომმა შენიშნა.

პარტიის წესდების დარღვევის სხვა ფაქტებსაც აქვს ადგილი. მაგალითად, კოლმეურნეობა „სოციალიზმისაკენ“-ის პირველადმა პარტორგანიზაციამ მიმდინარე წლის 8 მაისს პარტკანდიდატად მიიღო იზატნაიმ-ოღლი, რომელსაც ერთი რეკომენდაცია აკლდა, ხოლო რეკომენდატორის ამხ. მუტაფიანის რეკომენდაცია არასწორად იყო გაფორმებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ნაკლები სერიოზულობით ეკიდება პარტიაში მიღების საქმეს, ადგილი აქვს პარტიაში ხელაღებით მიღების შემთხვევებს. პარტორგანიზაციათა ცალკეული ხელმძღვანელები ივიწყებენ მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის ურყევ პრინციპს, წინასწარ გულდასმით არ ახდენენ პარტიაში შესვლის მსურველთა ყოველმხრივ შესწავლას.

აი რამდენიმე მაგალითი: ახალციხის რაიკავშირის პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო მურადოვი და ათოიანი. მათი მიღება პარტრაიკომმაც დაადასტურა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი დაპატიმრებულ იქნენ გამფლანგველობისა და კომბინატორობისათვის; საძელის სოფლსაბჭოს პირველადმა პარტორგანიზაციამ მიიღო ვინმე პეტროსიანი, რაიკომმა მისი მიღებაც დაადასტურა, ხოლო 2 თვის შემდეგ შესცვალა თავისი დადგენილება, რადგან გამოირკვა, რომ პეტროსიანი ბინებით სპეკულაციას ეწეოდა.

არსებული წესის მიხედვით იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია არ არსებობს, პარტიაში მიღების შესახებ განცხადებას განიხილავს უშუალოდ რაიკომი. ახალციხის რაიონში ეს წესი დარღვეულია, პარტრაიკომი ასეთ პირთა განცხადებებს ანაწილებს სხვადასხვა პარტორგანიზაციებს შორის. ამის შედეგად პარტიაში მიღება ხდება სათანადო წინასწარი შემოწმების გარეშე, რაც შემთხვევითს პირებს უადვილებს პარტიაში შესვლას.

ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა პარტიაში იღებენ ისეთ პირებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო იმ დაწესებულებასთან, სადაც ეს პარტორგანიზაცია არსებობს. მაგალითად, რაიონული გაზეთის რედაქციის მუშაკმა ტ. ბაბაევმა შეიტანა განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. რედაქციის პარტორგანიზაციამ მას უარი უთხრა პარტიაში მიღებაზე. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი მოხსნილ იქნა სამუშაოდან როგორც გამცდენი. ამის შემდეგ ორი კვირაც არ გასულა, რომ ბაბაევი პარტკანდიდატად მიიღო ახალციხის გლეხთა სახლის პარტორგანიზაციამ. აქ არავინ დაინტერესებულა გამოერკვია, თუ რატომ მოხსნეს ბაბაევი სამუშაოდან რედაქციაში. რაიკომმა, რასაკვირველია, ბაბაევის მიღება არ დაადასტურა, მაგრამ ეს არ კმარა. საჭირო იყო პარტიული ორგანიზაციების ყურადღების სერიოზულად გამახვილება ასეთი შეუწყნარებელი ფაქტების წინააღმდეგ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალციხის რაიონში ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული კოლმეურნეთა და სოფლის მოწინავე ინტელიგენტთა მიღება პარტიაში. რაიონში 76 კოლმეურნეობა ითვლება. პარტიაში მიღების განახლებიდან დღემდე საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღებულია მხოლოდ 75 კაცი; ამ საქმეში არც XVIII პარტყრილობის შემდეგ მომხდარა გარდატეხა, ყრილობის შემდეგ პარტიაში მიღებულია მხოლოდ 18 კოლმეურნე. რაიონში ითვლება 261 კოლმეურნე-ბრიგადირი. ესენი მოწინავე კოლმეურნეები არიან, მათგან პარტიის რიგებში მიღებულია მხოლოდ 14 კაცი. ასევე სუსტად სწარმოებს სოფლის წარჩინებული ინტელიგენტების მიღება პარტიაში. მაგალითად, პარტკანდიდატად მიღებულია მხოლოდ 1 ექიმი და 1 აგრონომი.

ჩვენი პარტიის წესდებაში სწერია: „ყველა პირი, ვისაც პარტიაში შესვლა სურს, გაივლის საკანდიდატო სტაჟს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კანდიდატი გაეცნოს პარტიის პროგრამას, წესდებას, ტაქტიკას და უზრუნველყოფილ იქნას კანდიდატის პირადი თვისებების შემოწმება პარტორგანიზაციის მიერ“. წესდების ეს მუხლი ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს ბოლშევიკურად უხელმძღვანელონ ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდას, მათს გამოწრთობას პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ საქმეშიც ახალციხის პარტორგანიზაციას მოპოვებული აქვს ერთგვარი მიღწევები, მაგრამ ეს მიღწევები დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. პარტკანდიდატებთან მუშაობას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახასიათებს. პარტკანდიდატებს არ ეძლევათ კონკრეტული პარტიული დავალებები, არ ხდება მიცემულ დავალებათა შესრულების შემოწმება. მაგალითად, კოლმეურნეობა „სოციალიზმისაკენ“-ის პარტორგანიზაციაში 6 პარტკანდიდატიდან სამს არავითარი პარტიული დავალება არა აქვს, ისინი არც თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე ზრუნავენ. შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში 6 პარტკანდიდატი მცირემცოდნეა და დამოუკიდებლად ვერ მეცადინეობს, პარტორგანიზაციას კი დღემდე არაფერი გაუკეთებია მათი მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის.

ზოგიერთი პარტორგანიზაცია არ ეხმარება ახალგაზრდა კომუნისტებს მიცემული დავალების შესრულებაში. მაგალითად, იმავე კოლმეურნეობა „სოციალიზმისაკენ“-ში კანდიდატს მაჯარ მამედ-ყიზი მამედოვას დავალებული აქვს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, მაგრამ მან დღემდე ვერ გაშალა მუშაობა, პარტიული ორგანიზაცია კი არ დაეხმარა. ზოგჯერ კანდიდატებს აძლევენ უმნიშვნელო დავალებას, რაც ხელს ვერ შეუწყობს მათს აღზრდას პრაქტიკულ მუშაობაში. მაგალითად, კანდიდატს ზია მუშირ ყიზის (კოლმეურნეობა „სოციალიზმისაკენ“) დავალებული აქვს მხოლოდ გაზეთების გავრცელება.

ახალციხის რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა გადაჭრით გარდაქმნან პარტკანდიდატებთან მუშაობა, ბოლშევიკურად მოაწყონ მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდა და პრაქტიკულ მუშაობაში გამოწრთობა, ჩაუნერგონ მათ პარტიულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ბოლშევიკური ჩვევები და ამით განუხრელად განახორციელონ დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ბრძნული მითითებანი პარტიის შემადგენლობის სისტემატური გაუმჯობესების შესახებ.

ვ. დვალი, შ. ვასილცევი,
ვ. თვალჭრელიძე

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორები.

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტვის გაზეთი სსრ კავშირის პოლიტიკის შესახებ

კაუნასი, 7 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „XX ამჟიუსი“ სწერს: „საბჭოთა კავშირი თავისი საგარეო პოლიტიკის გატარებაში მუდამ თანმიმდევარი იყო. ერთერთი მთავარი იდეა, რომელსაც სსრ კავშირი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა და აღნიშნავს, არის საყოველთაო მშვიდობიანობა. ხელმძღვანელობდა რა ამ პრინციპით, საბჭოთა კავშირმა თავის მეზობლებთან ხელი მოაწერა თავდაუსხმელობის ხელშეკრულებებს. ამ ქვეყნებთან თავისი ურთიერთობის განმტკიცებისათვის იგი ყოველნაირად ანვითარებდა სავაჭრო ურთიერთობას მათთან.

დღესაც კი, როცა აღმოსავლეთსა და დასავლეთში ქვემეხების გრიალი გაისმის, საბჭოთა კავშირმა არ უღალატა თავის მშვიდობისმოყვარე პრინციპებს. საბჭოთა კავშირის ამ პოლიტიკას, რომელიც თანმიმდევრობისა და მშვიდობიანობის პრინციპებზეა დამყარებული, ჩვენი მხრით ეგებება აგრეთვე მშვიდობიანი პოლიტიკა, რომლიდანაც გამომდინარეობს ჩვენი ნეიტრალიტეტი. მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის პრესაში ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ჩვენდამი მტრულ დამოკიდებულებას, არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ საბჭოთა კავშირს გაეტარებინოს ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ რაიმე პროპაგანდა. დღეს ჩვენ მტკიცედ შეგვიძლია განვაცხადოთ ეს, ამასვე დაადასტურებენ საბჭოთა გაზეთების ფურცლები“.

ამერიკული პრესის გამოხმაურება პან-ამერიკული კონფერენციის გადაწყვეტილებებზე

ნიუ-იორკი, 6 ოქტომბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ქ. პანამიდან იუწყება, პანამის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აროსემენამ, პან-ამერიკული კონფერენციის გადაწყვეტილებათა თანახმად, ინგლისის მეფეს გეორგს, საფრანგეთის პრეზიდენტს ლებრენსა და ჰიტლერს გაუგზავნა პან-ამერიკული კონფერენციის დეკლარაცია, რომელიც განსაზღვრავს ამერიკის რესპუბლიკათა უშიშროების ზონას, სადაც აკრძალულია მეომარ მხარეთა მოქმედება.

ამერიკული გაზეთების უმეტესობა იწონებს უშიშროების ზონის დაწესებას.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ სწერს, რომ უშიშროების ზონის ნამდვილი მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება იგი დაცული. დეკლარაცია მხოლოდ გაფრთხილებას აძლევს მეომარ ქვეყნებს თავი შეიკავონ მტრული აქტებისაგან ზონის ფარგლებში. დეკლარაციაში კონკრეტიზებული არ არის უშიშროების ზონის დაცვის მეთოდები, მაგრამ თუ იგი მტკიცედ გატარდება, ეს გაადიდებს ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმის საფრთხეს. სწორი არ იქნებოდა,—აღნიშნავს გაზეთი,—თუ ამერიკის რესპუბლიკები დაუშვებენ, რომ ომი ხელს უშლიდეს ამერიკის ქვეყნებს შორის ვაჭრობას.

გაზეთი „ბალტიმორ სანი“ სწერს, რომ ამერიკის ნეიტრალური ბლოკის შექმნა სერიოზული განძია მშვიდობიანობისა და უშიშროების საქმისათვის დასავლეთ ნახევარსფეროში. მაგრამ გაზეთი აღნიშნავს, რომ უშიშროების ზონის შესახებ კონფერენციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ბევრი მომენტი ჯერ კიდევ ნათელი არ არის. ამ ზონის ეფექტიურობა შეზღუდული იქნება, თუ ინგლისი და საფრანგეთი ნებას დართავენ სამხედრო გემებს ისარგებლონ საზღვაო ბაზებით მათს სამფლობელოებში კარაიბის ზღვაში ან იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის სამხედრო გემები ოპერაციებს აწარმოებენ ინგლის - საფრანგეთის სამფლობელოების გარშემო. ამერიკის ქვეყნებს შორის ვაჭრობის უშიშროება სავსებით გარანტირებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მეომარი ქვეყნები თავიანთ სამხედრო გემებს გაიყვანენ ამერიკის წყლებიდან.

გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამი“ სწერს, რომ ზონა, როგორც სჩანს, შეიცავს ინგლის-საფრანგეთის სამფლობელოებს კარაიბის ზღვაში და სხვა ადგილებში, რომელნიც, შესაძლებელია, ინგლისსა და საფრანგეთს განზრახული აქვთ სამხედრო ბაზებად გამოიყენონ.

გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის“ საზღვაო მიმომხილველი ელსბერგი სწერს, რომ პან-ამერიკული კონფერენციის დეკლარაცია „ახალ შესაძლებლობებს“ იძლევა ნეიტრალური ქვეყნების უფლებათა გაფართოებისათვის, მაგრამ ამავე დროს იგი აღნიშნავს ამ ზონის დაცვის პრობლემის სიძნელეს.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ლონდონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ინგლისის დიპლომატიურ წრეებში კრიტიკულად ეკიდებიან უშიშროების ზონის შექმნას იმასთან დაკავშირებით, რომ იგი აღემატება 3-მილიან სივრცეს, აგრეთვე იმიტომ, რომ მისი დაწესება წარმოადგენს ცალმხრივ გადაწყვეტილებას. ამ წრეებში ამტკიცებენ, სწერს კორესპონდენტი, რომ ასეთი დიდი ზონის დაწესება არ არის ხელსაყრელი იმ ქვეყნებისათვის, რომელნიც ვალდებული არიან დაიცვან იგი.

იაპონელებს 30 ათასზე მეტი კაცი მოუკლეს

ჩუნცინი, 8 ოქტომბერი (საკდესი). ჩინეთის არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა შეაფასა ხუნანის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის, ჩანშის რაიონის, ფრონტის მდგომარეობა და ინტერვიუში სენტრალ ნიუსის სააგენტოს კორესპონდენტთან განაცხადა, რომ „ჩინეთ-იაპონიის ომის 27 თვის განმავლობაში დამპყრობთ ჯერ ესოდენ მძიმე დანაკლისი არ ჰქონიათ. ჩანშის წინააღმდეგ იაპონელთა შეტევის გეგმის ჩაშლა წარმოადგენს იაპონიის სტრატეგიის დამარცხებას და ჩინეთის ტაქტიკის გამარჯვებას.

იაპონელებმა 6 თვის მზადების შემდეგ დაიწყეს დიდი შეტევა ჩანშის წინააღმდეგ და გაარღვიეს ჩინეთის თავდაცვის ხაზი. ჩინეთის სარდლობა უკან იხევდა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ცენტრში, იტყუებდა მოწინააღმდეგეს და ამრიგად გადამწყვეტი დარტყმა განუმზადა იაპონელთა ფლანგებს. 3 დღის ფიცხელი ბრძოლის შემდეგ გათავხედებულმა იაპონელებმა, რომელთაც ფლანგებიდან ჩინეთის ჯარის დამკვრელი კოლონები აწვებოდა, დაიწყეს საერთო უკან დახევა. იაპონელებს არ უშველა იმ გარემოებამ, რომ მათ ამ რაიონში 100-ათასიან არმიას მოუყარეს თავი, აგრეთვე ფართოდ გამოიყენეს ავიაცია და ფლოტი დუნტინხუს ტბაზე. 27 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე იაპონელებს 30 ათასზე მეტი კაცი მოუკლეს, და მათ უკან დახევა იწყეს იმდენად უწესრიგოდ, რომ ბრძოლის ველზე სტოვებენ დიდძალ დაჭრილს“.

ბერლინ-სტამბოლის საჰაერო ხაზი

ბერლინი, 7 ოქტომბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, თურქეთის მთავრობა დასთანხმდა, რათა აღდგენილ იქნას რეგულარული საჰაერო კავშირი ბერლინ-სტამბოლის ხაზზე.

სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა

ბერლინი, 6 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიის მესანგრეთა ნაწილებმა 4 ოქტომბრისათვის აღადგინეს რკინიგზის ხაზები, რომლებიც გერმანიის საზღვრიდან დემბლინამდე და ვარშავამდე მიდის. ამავე დროს იუწყებიან, რომ 2 ოქტომბერს ვარშავის მთავარ ვაგზალზე მივიდა გერმანიის პირველი მატარებელი. აღდგენილია აგრეთვე რკინიგზის ხაზი, რომელიც აღმოსავლეთი პრუსიიდან ზიდლცემდე მიდის. გარდა ამისა, რამდენიმე დღის შემდეგ გაიხსნება სარკინიგზო მიმოსვლა სილეზიიდან აღმოსავლეთ პრუსიასთან ვარშავაზე გავლით.

ფილმი „ახალგაზრდობის პარადი“ ბულგარეთში

სოფია, 7 ოქტომბერი (საკდესი). 1 აგვისტოდან სოფიაში, „გლორიას“ თეატრში დაიწყო დემონსტრირება საბჭოთა ფილმისა „ახალგაზრდობის პარადი“ 1938 წელს.

ფილმი უჩვენებს ფიზკულტურის არაჩვეულებრივ განვითარებას სსრ კავშირში. ფილმის წყალობით ბულგარეთის მოსახლეობას პირველად მიეცა შესაძლებლობა ნახოს საბჭოთა მთავრობის მოღვაწენი. ფილმმა ერთბაშად გაიტაცა საზოგადოება. ამ ფილმის სანახავად პროვინციიდან მოდიან. ფილმის დემონსტრაცია უკვე მეორე თვეა გრძელდება, რაც არაჩვეულებრივი მოვლენაა ბულგარეთის პირობებში. დემონსტრირება კიდევ ორ კვირას გასტანს.

პირველი თვის განმავლობაში ფილმი 80 ათასზე მეტმა კაცმა ნახა.

ფილმის არაჩვეულებრივი წარმატება, პირველყოვლისა, აიხსნება დიდი ინტერესით იმ ცხოვრებისადმი, რომელიც ასახულია ეკრანზე, დიადი საბჭოთა დედაქალაქისა და საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებისადმი.

საზოგადოება შეუნელებელი ყურადღებით უყურებს ფილმს.

კინოთეატრში სულ სხვადასხვაგვარი ხალხი დადის. სალაროს წინ თავს იყრიან სხვადასხვა ფენის ადამიანები, მეტწილად მუშები, ხელოსნები და ინტელიგენცია.

ბევრმა რამდენჯერმე ნახა სურათი. სოფიის უნივერსიტეტის კლასიკური ლიტერატურის ერთერთმა პროფესორმა ფილმი 4-5-ჯერ ნახა. შემდეგში იგი აღნიშნავდა, რომ ფილმმა მასზე უძლიერესი შთაბეჭდილება დასტოვა. „მე მგონია,—ამბობს იგი,—რომ ოცი წლით გავახალგაზრდავდი“.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი, შანხაელი და ლონდონელი კორესპონდენტების ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ხუნანის პროვინციის ფრონტზე ჩინეთის ჯარმა დიდი გამარჯვება მოიპოვა. ჩანშაზე (ხუნანის პროვინციის მთავარი ქალაქი) იაპონიის ფართო შეტევის გეგმა ჩაიშალა. იაპონიის ჯარის ბევრი ნაწილი სავსებით განადგურებულია. ფრონტის ხაზმა კვლავ გადაიწია საზღვრისაკენ, მდინარე მიშუის გასწვრივ. პინძიანის დასავლეთით, სადგურ მილოს სამხრეთით და სიანინის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონები მთლად გაწმენდილია იაპონელებისაგან. ამჟამად ჩინეთის ჯარი მიიწევს ინდიანისა, მილოსა და ჩანლოძისაკენ. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ჩინელებმა დაიკავეს პინძიანი (მდინარე მიშუის ჩრდილოეთ ნაპირზე). ჩინელთა ცნობებში აღნიშნულია, რომ იაპონელთა დამარცხება ჩანშასთან „ყველაზე დიდი დამარცხებაა, როგორიც კი იაპონელებს ჩინეთში 2 წლის ომის მანძილზე განუცდიათ“. ჩინელთა ცნობების მიხედვით, იაპონელებს მოუკლეს 30 ათასი კაცი. ბრძოლის ველზე დატოვებულ იქნა იაპონელთა 6 ათასზე მეტი გვამი.

○

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ხუნანის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის ფრონტზე იაპონელები დამარცხდნენ ჩანშასთან, უწესრიგოთ იხევენ უკან, სტოვებენ უამრავ დაჭრილს და დიდძალ საომარ საჭურველს. ჩინეთის ჯარმა, რომელიც წარმატებით ანვითარებს შეტევას ჩრდილოეთის მიმართულებით, 7 ოქტომბერს დილით დაიკავა მდინარე სინძიანის რაიონი. მდინარე მიშუის სამხრეთი ნაწილი სავსებით გაწმენდილია იაპონელებისაგან. ჩინეთის ჯარმა გადალახა მდინარე მიშუი და 20 კილომეტრზე წაიწია ამ მდინარის ჩრდილოეთით. ამჟამად ჩინელებმა სავსებით გასწმინდეს იაპონელთაგან შემდეგი პუნქტები: პინძიანი, მილო, გუდი, სინში, სინინი, ბაიშუი, ჩანშოუსი, ჩანლოძე, ხუანშაძი და სხვ.

სამხრეთ ჩინეთში

6 ოქტომბერს ჩინეთის მძიმე არტილერია ყუმბარებს უშენდა იაპონელთა სამხედრო ყაზარმებს სანშუიში (კანტონის დასავლეთით). დანგრეულია რამდენიმე შენობა.

ძიანმინის დასავლეთით (კანტონის სამხრეთით) 5 კილომეტრის მანძილზე 5 ოქტომბერს იაპონელთა რაზმმა, რომელიც ათასი კაცისაგან შესდგებოდა, იერიში მიიტანა ჩინელთა პოზიციებზე. ჩინეთის ჯარმა იერიში მოიგერია ხელჩართული ბრძოლით. იაპონელებმა, რომელთაც დიდი ზარალი მოუვიდათ, დაიხიეს ძიანმინისაკენ.

5 ოქტომბერს ღამით იაპონელებმა დიდი დესანტი გადასხეს ჯუნშანის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში (ჰონკონგის ჩრდილოეთით). იმავე დღეს მოხდა ბრძოლა გადასხმულ დესანტსა და ჩინეთის ჯარს შორის. ბრძოლის შედეგი გამოურკვეველია.

4 ოქტომბერს კუნძულ მეიჯოუზე (ქალაქ ფუჯოუს სამხრეთით) ჩინეთის ჯარმა საშუალება არ მისცა იაპონელებს გადმოესხათ დესანტი ოთხი საკანონერო ნავიდან. 6 ოქტომბერს დილით იაპონელებმა შესძლეს დესანტის გადმოსხმა ამ კუნძულზე. სამი საათის ბრძოლის შემდეგ ჩინეთის ჯარმა დაიხია მთებისაკენ.

იმის გამო, რომ იაპონიის ჯარმა ძლიერი შეტევა განავითარა ჩინელთა პოზიციებზე შენჩუნის რაიონში (ჰონკონგის ჩრდილოეთით), ჩინელები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ქალაქი.

ჩრდილოეთ ჩინეთში

შანსის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ბრძოლის ცენტრი ამჟამად გადატანილია ქალაქ ჩანძისა და ხუბუანის რაიონში, სადაც იაპონელებმა დაამთავრეს თავდაცვითი სიმაგრეების მშენებლობა. ჩინეთის ჯარის ნაწილები განუწყვეტელი იერიშებით მოსვენებას არ აძლევენ ამ ქალაქების იაპონელთა გარნიზონებს.



სოხუმი. სანატორიუმი „გულრიფში“. ნახატი ელ. ახვლედიანისა

სომხური ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში

გუშინ, დილის 6 საათზე, თბილისიდან მოსკოვს წავიდა სპეციალური მატარებელი, რომელმაც წაიყვანა სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილეთა პირველი პარტია 417 კაცის შემადგენლობით.

რკინიგზამ ყველაფერი მოაწყო იმისათვის, რომ დეკადაზე მიმავალთათვის მგზავრობის საუკეთესო პირობა შეექმნა. 17 ვაგონისაგან შედგენილ მატარებელში 2 საძინებელი ვაგონია, 3 რბილი და დანარჩენი რბილი ტიპის კუპეებიანი. მატარებელში ჩართულია კვების პროდუქტებით უხვად უზრუნველყოფილი ვაგონ-რესტორანი.

მატარებელი თბილისში ჩამოვიდა ღამის 4 საათზე. იგი ჩამოაცილეს ა.-კ. რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსმა ამხ. კ. პაიჭაძემ და ინსპექტორმა ამხ. შ. კოვზირიძემ.

მოძმე სომეხი ხალხის ხელოვნების მუშაკებს თბილისის სადგურში შეხვდნენ და გააცილეს ადგილობრივი თეატრების მუშაკებმა და სადგურ თბილისის ღამის ცვლაში მომუშავე ამხანაგებმა სამგზავრო სამსახურის თბილისის განყოფილების უფროსის ამხ. ასათიანისა და სადგურის უფროსის ამხ. ფარცვანიას მეთაურობით.

17 ოქტომბრისათვის დანიშნულია მეორე სპეციალური მატარებელი, რომელიც წაიყვანს დეკადის მონაწილეთა დანარჩენ ნაწილს.

ჭადრაკი

ა. ებრალიძე—საქართველოს ჩემპიონი

ქუთაისი (ტელეფ. „კომუნისტის“ კორ.). 8 ოქტომბერს დამთავრდა სრულიად-საქართველოს საჭადრაკო შეჯიბრება 1939 წლის პირველობაზე.

ტურნირის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა ა. ებრალიძე, რომელმაც შეინარჩუნა საქართველოს ჩემპიონის სახელი; 18 შესაძლებელიდან მან 14 ქულა შეაგროვა.

მეორე ადგილი დაიკავა კონკურსსგარეშე მოთამაშემ, ლენინგრადელმა მაესტრომ ილინ-ჟენევსკიმ, რომელიც ებრალიძეს ერთი ქულით ჩამორჩა.

მე-3 ადგილი—შიშოვმა (+12), მე-4—ფირცხალავამ (+11), მე-5—ასოსკიმ (+10½).

რიონი კვლავ ადიდდა

სამტრედია, („კომუნისტის“ კორ.). 7 ოქტომბერს მდინარე რიონი კვლავ ადიდდა და გადავიდა ნაპირებიდან. წყალმა დაფარა სამი სოფელი, წყალდიდობის გამო ვანის რაიონთან სატელეფონო კავშირი შეწყვეტილია. ადამიანებისა და პირუტყვის დახრჩობის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. წყლით დაფარულ მთელ ტერიტორიაზე წყლის სიმაღლე საშუალოდ 2 მეტრს აღემატება.

მეჩონგურეთა ანსამბლი

მეჩონგურე ქალთა ანსამბლი **ალ. ფოცხვერაშვილის** ხელმძღვანელობით, რომელიც რუსეთსა და უკრაინაში საგასტროლო მოგზაურობის შემდეგ ისვენებს, მუშაობას განაახლებს 15 ოქტომბრიდან. მუშაობის განახლებასთან ერთად, მოხდება ანსამბლის შევსება ახალი ძალებით.

განცხადებების მიღება სწარმოებს (რუსთაველის პრ. № 30).

ფეხბურთი

3:0 თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მატჩი სსრკ პირველობაზე.

ორივე გუნდმა თამაში ფრთხილად დაიწყო. თამაშის უმეტესი ნაწილი სტადიონის ცენტრში მიმდინარეობდა. მხოლოდ მე-24 წუთზე გაიხსნა ანგარიში. მოსკოველების კართან სერიოზული მდგომარეობა იქმნება. მეკარე გრანატკინი გარეთ გამორბის, რათა ბურთი დაიჭიროს, მაგრამ ამაოდ. ამ მომენტს მოხერხებულად იყენებს ხარბედია და თავით გააქვს პირველი ბურთი.

მეორე ტაიმი თბილისელების იერიშებით დაიწყო. შუა თამაშში დინამოელებმა მოხდენილი კომბინაცია გაითამაშეს: ჯაჯილავასაგან მიღებული ბურთი ბერძენიშვილმა ლამაზად გადასცა „ლოკომოტივის“ კართან მოხერხებულ ადგილზე მდგომ ბერეჟნოის, რომელმაც იგი მოწინააღმდეგის კარში მოათავსა. თამაშის დამთავრებამდე 5 წუთია დარჩენილი. მსაჯი ჩერნოგოროვი (ოდესა) თბილისელებს რატომღაც აჯარიმებს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით. ლოკომოტიველები ამ კარგ შემთხვევას ვერ იყენებენ, თავდამსხმელი ილინის მიერ დარტყმული ეს ბურთი კარებს სცდება.

თბილისელებს კვლავ რამდენიმე იერიში მიაქვთ მოსკოველთა კარებზე. წუთებიღა აკლია თამაშის დამთავრებას. პაიჭაძე შორი მანძილიდან აგზავნის ბურთს მოწინააღმდეგის კარისაკენ. ბურთი გაუსხლტა მცველებს, მეკარე დაეცა. მქუხარე ოვაცია აღნიშნავს ლოკომოტიველთა კარში მესამე ბურთის მოთავსებას.

მატჩი დამთავრდა თბილისელების გამარჯვებით (3:0).

თბილისის „დინამოს“ ორი ქულა შეემატა.

○

მოსკოვი, 6 ოქტომბერი (ჩვენი საკ. კორ). ფეხბურთის გათამაშება სსრ კავშირის პირველობაზე დასასრულს უახლოვდება. 27 და 30 ოქტომბერს თბილისის დინამოელები გამოვლენ მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე. 27 ოქტომბერს ისინი გამოვლენ პირველობის გათამაშების მეორე წრეში „სპარტაკის“ წინააღმდეგ, ხოლო 30 ოქტომბერს—„ცდკა“-ს წინააღმდეგ.

სპეკულანტები დახლთან

ამასწინათ ახალციხეში მილიციის ორგანოებმა დააპატიმრეს სურამიდან ჩამოსული სპეკულანტები ი. ა. ჯანაშვილი, დ. ი. ჯანაშვილი, ი. გ. ჯინჯიხაშვილი და ი. ი. ალელიშვილი. სპეკულანტებს აღმოაჩნდათ 113 მეტრი ფართალი.

კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ ეს ფართალი მათ შეიძინეს ახალციხის მცხოვრებ — გარკვეული პროფესიის არმქონე—მ. ლევიშვილისა და ა. ლეზგიშვილისაგან. მათი ბინების გაჩხრეკის დროს იპოვნეს 318 მეტრი ფართალი, 48 ცალი შალი, ლილა და მრავალი სხვა საქონელი. შემდგომმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ სპეკულანტები მ. ლევიშვილი, ა. ლეზგიშვილი, ლ. ლეზგიშვილი და ე. ქოსაშვილი დიდი ხნის განმავლობაში დაკავშირებული იყვნენ ახალციხის სავაჭრო ქსელის მუშაკთა ჯგუფთან, რომელიც ამარაგებდა მათ სხვადასხვა საქონლით.

ურთიერთთავდებობით დაკავშირებული სპეკულანტები, საკუთარი გამდიდრების მიზნით, უმალავდნენ მოსახლეობას მაღაზიაში მიღებულ საქონელს, რომელსაც შემდეგ, სხვადასხვა მახინაციებით გადასცემდნენ ხოლმე ლევიშვილს, ლეზგიშვილს და სხვებს.

მთელი ბანდა დაპატიმრებულია. სპეკულანტები მიცემული არიან სამართალში.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

9 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება პროფესორ მ. გოგიბერიძის ლექცია თემაზე საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება. ქართულ ენაზე.

○

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში პროპაგანდისტების, მომხსენებლების, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლას, ყოველდღიურად სწარმოებს კონსულტაციები მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე.

კონსულტაცია სწარმოებს დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე. ქართულ და რუსულ ენებზე.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — სევანის მეთევზეები, **ოქტომბერი**—ცეცხლოვანი წლები, **დამკვრელი** (საზაფხ.)—სევანის მეთევზეები, **დამკვრელი** (ზამთრ.)—სევანის მეთევზეები, **კომკავშირელი** (საზაფხ.) — უკანასკნელი ბანაკი, **კომკავშირელი** (ზამთრ.)—ლაშქრობა მთებში, **სპარტაკი**—ჯარისკაცი ფრონტიდან ბრუნდება, **რ. ლუქსემბურგის სახ.** — საზღვარზე, **26 კომ. სახ.** —ცხარე დღეები, **კომინტერნი**—ვაჟკაცობა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

9 ოქტომბერს	10 ოქტომბერს	11 ოქტომბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 14	მუდმ. ადგ. ტალ. № 15	მუდმ. ადგ. ტალ. № 16
მეფის საცოლე	ქეთო და კოტე	სევილიელი დალაქი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
აბონემენტებზე განაცხადთა მიღება და აბონემენტების გაცემა თეატრის სალაროში.
სალარო ღიაა 11—4 ს. და 5—9 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. სეზონი.

9/X	10/X	11/X
მუდმ. ადგ. ტალონი № 17	მუდმ. ადგ. ტალონი № 18	მუდმ. ადგ. ტალონი № 19
უდანაშაულო დამნაშავენი	შემოდგომის აზნაურები	ო ტ ე ლ ო

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

ამხ. ბერიას სახ. კულტურის სახლი (1-ლი მაისის ქ. № 10 შესასვლელი ბერიას სახელობის მოედნიდან)
სახელმწიფო ოპერეტის თეატრის წარმოდგენა

9 ოქტომბერს	10 ოქტომბერს
კორნევილი მალინოვკაში	ხ ო ლ ო პ კ ა
მუს. კომედია 3 მოქმ.	მუს. კომ. 3 მოქმ.

სამხ. ხელმძღვანელი ა. ნ. ოლგარი დასაწყისი საღ. 9 საათზე.
ბილეთების წინასწარ შეძენა დილის 11 ს-დან 3 ს-დე. საღ. 6 საათ. 11 ს.

სახელმწიფო ცირკი, ტელ. 3-11-44
სახცირკის დირექცია აუწყებს ყველა ორგანიზაციას, რომ 1939-40 წლის სეზონისათვის მუდმივი (სეზონური) ადგილების შეძენაზე ხელშეკრულებანი დაიდება მხოლოდ ა. წ. 15 ოქტომბრამდე.

იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც დადებული აქვთ ხელშეკრულებანი და გადარიცხული აქვთ სათანადო თანხები, ბილეთების გაცემა დაიწყება 9 ოქტომბრიდან. გაცემა იწარმოებს ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 15 ს. 30 წ-მდე იმ პირობით, რომ აუცილებლად წარმოდგენილი იქნება მინდობილობა. 3—2

სახცირკი, ტელ. 3-11-44
12 ოქტომბერს ცირკის 12 ოქტომბერს
1939-40 წ. სეზონის გახსნა
დასაწყ. საღ. 8½ ს. სალარო 10 ოქტომბრიდან დღის 12 ს-დან 2 ს-დე და 5 ს-დან.

კინოთეატრი „ოქტომბერი“
8 ოქტომბრიდან
ახალი ხმოვანი მხატვრული ფილმი
ცეცხლოვანი წლები
სცენარის ავტორები—ი. ლგოვსკი და ს. ნავროცკი, კომპოზიტორი—ა. ტურენკოვი, რეჟისორები—ხელოვნების დამს. მოღვ. ვ. კორში, საბლინი და ს. ნავროცკი.
გმირული კინოეპოპეა უძლეველი სახელოვანი წითელი არმიის შესახებ, რომელმაც გაანადგურა და სამუდამოდ განდევნა თეთრპოლონელ ინტერვენტთა ურდოები საბჭოთა ბელორუსიის მიწა-წყლიდან 1919—1920 წლებში.
სეანსების დასაწყისი: 6-30, 8-30, 10-30
თეატრის ფოიეში ყოველდღე ჯაზ-ორკესტრის გამოსვლები. 150

საქართველოს ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი კათედრების დოცენტის თანამდებობაზე:

1. ქირურგიის კათედრასთან — ძვალ-სახსრის ტუბერკულოზი — დოცენტის ნახევარ თანამდებობა,
2. ტუბერკულოზის კათედრასთან—ტორაკალური ქირურგია — დოცენტის ნახევარ თანამდებობა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნას: 1. განცხადება ინსტიტუტის დირექციის სახელზე, 2. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 3. ავტობიოგრაფია, 4. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, სათანადოდ შემოწმებული, 5. მეცნიერულ ხარისხში დამტკიცების დოკუმენტის ასლი, 6. საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება, 7. მეცნიერული შრომების სია, 8. მეცნიერული შრომები და მათი რეცენზია.

კონკურსის ვადა 25 ოქტომბერი.
762 ინსტიტუტის დირექცია.

კოოპინკავშირის არტელ „ინსაზკვებას“ საერთო კრების დადგენილების თანახმად არტელი „ინსაზკვება“
ლ ი კ ვ ი დ ი რ ე ბ უ ლ ი ა
ა. წ. 25 სექტემბრიდან.
ყოველივე პრეტენზიები ორგანიზაციებისა და ყველა პირებისაგან მიიღება ა. წ. 15 ოქტომბრამდე.
მისამართი: მაგისტრალის ქუჩა, № 27,
3343 ლიკვიდკომი.

საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას“ ბალანსი 1939 წ. 1 იანვრისათვის
(ათას მან.)

	აქტივი			პასივი	
1	ძირითადი საშუალებანი	220	1	საწესდებო ფონდი	2041
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	119	2	სხვა ფონდები და რეზერვები	126
3	დაუმთავრებელი წარმოება	181	3	მოკლევადიანი სესხები	414
4	მზა ნაწარმი და საქონელი	2127	4	ანგარიშსწორებანი	250
5	გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	228	5	1938 წ. მოგება	331
6	ფულადი სახსრები	160			
7	ანგარიშსწორებანი	94			
8	მომავალი პერიოდის ხარჯები	33			
	ბალანსი...	3162		ბალანსი...	3162

1938 წლის მოგება-ზარალის ანგარიში (ათას მან.)

1	სხვადასხვა ზარალი	207	1	მოგება რეალიზაციით	499
2	მოგების სალდო	331	2	სხვა დაბაგროვები	39
	ბალანსი...	538		ბალანსი...	538

დირექტორი დუნდუა. მთ. ბუღჰალტერი ცინცაძე.

ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქ. სსრ ადგილ. მრეწველობის სახკომატის მიერ (1939 წ. 26 მარტის დადგენილება № 16).
730 საქ. სსრ ადგ. მრეწ. სახკომ. ცენტრალური ბუღჰალტერიის უფროსი ვოსკრესენსკი.

ა. წ. 18 აგვისტოს სახლიდან გავიდა და არ დაბრუნებულა **იოსებ კამალიანი**, 30 წლისა, დაავადებული ფსიქიური ავადმყოფობით, საშუალო ტანისა, ქერა, პირგაუპარსავი, თავზე და შუბლზე აქვს ჭრილობა, ტანზე აცვია შავი ტუჟურკა და შავი შარვალი, ფეხზე კალოშები, უქუდოა. მნახველს ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: თბილისი, გონჩაროვის ქ. № 31, **საფური კამალიანს**. 3356

დაკარგულია: ლენრაიონის 6 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებლის მრგვალი ბეჭედი ჩ. გ. 3377

სამხატვრო აკადემიის პედაგოგები: კაკაბაძე, დ. სიდამონ-ერისთავი, ამირანაშვილი, შარლემანი, სევეროვი, წერეთელი, ა. კეზელავა, ჯაფარიძე, უ. წერეთელი, დ. გრიგოლია, ბერიძე, კაკაბაძე, ტ. მამალაძე იუწყებიან პროფ. ნ. კანდელაკის მამის
პორფილე კანდელაკის
გარდაცვალებას. 3375

სიმონ კანდელაკი მეუღლით მარიამით და ქალიშვილი ნატათი იუწყება საყვარელი ბიძის
პორფილე ივანეს-ძე კანდელაკის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სამტრედიაში 10/X. 3372

ს. ქარჩავა და ა. მოსეშვილი შვილებით ნუნუთი და ელიკოთი მწუხარებით იუწყებიან
მეგული ყიფიანის
გარდაცვალებას. 3373

ბებია ტასიკო, ბაბუა ანდრიკო, ბიძა კონსტანტინე ხუროძეები, ქეთინა, ფილიპე გობეჩიები, ვერა, ნესტორ სულავები შვილებით იუწყებიან ძვირფას პატარა
გაცა (ფრიდა) ხუროძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/X 6 ს. გამოსვენება 10/X 5 ს. პლეხანოვის 197. 3374

დიღმის კოოპერაციის გამგეობა და თანამშრომლები იუწყებიან ამავე სოფლსაბჭოს თავმჯდომარის ლევან შახულოვის დედის
მაშოს
გარდაცვალებას. 3379

თბილისის კინოსტუდიის ცენტრალური ბუღჰალტერიისა და საფინანსო განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ისაია იაკობის-ძე მზარეულიშვილს მისი დედის
ეფემია ზაქარიას-ასულ მზარეულიშვილის
გარდაცვალების გამო. 3378

დიღმის სასოფლო საბჭოს თანამშრომლები კოკი კეკელიძე, ბაბულია ქობელაშვილი და არჩილ სოსოელაშვილი იუწყებიან ამავე საბჭოს თავმჯდომარის ლევან შახულოვის დედის
მაშო შახულოვის
გარდაცვალებას. 3380

ვარლამ და ვარდო კაციტაძეები შვილებით რუსიკოთი და ლამარათი იუწყებიან დაუვიწყარი დედის, დედრის და ბებიის
პელაგია დალაქიშვილი-გიორგობიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 X ს. გორისუბანში. 3381

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—81—65 გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—649